

საბჭოთავო
ბიბლიოთეკა

გოდუაჟი სანიჟი



№ 2


საბჭოთავო ბიბლიოთეკა 1925 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვერდი

1) საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავი, — შანისა	1
2) 25 თებერვლის მე-4 წელი, ლექსი — მაყვალა-ზაირასი	2
3) 27 თებერვალი, ლექსი — კ. ლ — ძესი	2
4) ტუგრია, — დ. თურდოსპირელისა	3
5) წითელ სამშობლოს შვილი, ლექსი — სეზმანისა	8
6) შვიდი წელი კლდოვან კუნძულზე, — ჯეკ ლონდონისა, თარგმანი ზ. გძელიშვილისა	8
7) წითელი ჯარის არსებობის შვიდი წელი, — შ. შე — ლისა	15
8) 23 თებერვლის მე-7 წელზე — ს — ნისა	16
9) მეზარე — სიმღერა, — სიტყვები ი. ვაკელიისა მუსიკა ფირცხალაძისა	17
10) აკაკი, — შ. თაბუკაშვილისა	18
11) დათიკო კაჭარავას გარდაცვალებაზე, — ბიჭიკოსი	20
12) ჭიათურა, — ლექსი მ გოგიაშვილისა	21
13) ჰერის დამორჩილება. — შედგენილი ზ. გძელიშვილისა	22
14) ზეიში მალაროში, — ლექსი ალ. შანიძისა	29
15) რა უნდა იცოდეს პიონერმა, — თარგ. დ. კარბელისა	29
16) თბომატარი, — თარგ. შ — ისა	30





1925
თებერვალი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმარ-
თველობის და ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალ. კომიტეტის უფრ-
ნალი ბაგშეებისათვის.

წელიწადი 2
№ 2

საქართველოს განსაზღვრების ოთხი წლის თავი

1921 წ. 25 თებერვალს საქართველოს მუ-
შებმა და გლეხებმა სამუდამოდ მოიშორეს მდიდრე-
ბის, მემამულეების და მათი მიმყოლი მენშევიკების
ბატონობა.

ამა წლის 25 თებერვალს შესრულდა საქარ-
თველოს განსაზღვრების ოთხი წლის თავი. თვითეული
წელი ძლიერი საფეხურია ჩვენი ქვეყნის პროლე-
ტარულ მშენებლობის გზისაკენ.

საქართველოს განსაზღვრების ოთხი წლის თავზე
რესპუბლიკას მრავალი მიღწევა აქვს: სასოფლო-სა-
მეურნეო აღმშენებლობაში, მრეწველობის სფეროში,
დიდი გამარჯვებით იქნა ჩატარებული ფულის რე-
ფორმა, გაძლიერებულ-გაფართოებულ იქნა კო-
ლბერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის საქმე, მოხ-
და ფასების დაკლება ნაწარმოებებზე, მომატებულ
იქნა შრომის ხელფასი—აი, ძირითადი მიღწევები.

გარდა ამისა, დიდი მიღწევები გვაქვს სახალხო
განათლების ასპარეზზე.

საბჭოთა მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ ამ
სფეროში ძირიან-ფესვიანი გადახალისება მოახდი-
ნა, ახალ საფუძველზე იქნა აგებული მთელი შრო-
მის სკოლები, გახსნილ იქნა მშრომელ ახალგაზ-
რდობისთვის მუშათა ფაკულტეტები, საქარხნო-
საფაბრიკო, გლეხურ ახალგაზრდობის და სხვა
მრავალი სკოლა, სადაც უღარიბესი ახალგაზ-
რდობა, რომლისთვისაც სკოლა ნიკოლოზის და

მენშევიკების დროს სანატრელი იყო, დღეს დიდი
სიყვარულით და ენერგიით ეწაჳება მეცნიერებას
ამ სკოლებში.


მთელი მოსწავლე ახალგაზრდობის რიცხვი
შეადგენს 206,000, თავის 7,055 მასწავლებლით
და 1,664 სკოლით. ჩვენ გვაქვს ტექნიკუმები და
უნივერსიტეტი, სადაც 5 ათასზე მეტი სტუდენტი
სწავლობს.

სახალხო განათლებას ჩვენი ბიუჯეტის 53
პროცენტი აქვს დათმობილი.

ამიერ-კავკასიის (საქართველოს, ადერბეიჯანის
და სომხეთის) მშრომელი ხალხი დღეს მეტის-მე-
ტად მეგობრულად და თანხმობით ცხოვრობს, წი-
ნაღმდევ იმ მდგომარეობისა, რომელიც იყო მენ-
შევიკების დროს, როდესაც ბრძოლა, სისხლის
ღვრა მათ შორის ყოველი ფეხის გადადგმაზე
სწარმოებდა.

დღეს მშრომელთა მტრებიც კი დარწმუნდე-
ბიან საქართველოს მუშების და გლეხების შემო-
ქმედებით სიძლიერეში.

რომ შევადაროთ ჩვენი ქვეყნის თანამედროვე
მდგომარეობა მის წარსულს, როდესაც საქართვე-
ლოში ბატონობდნ ბურჟუა-კაპიტალისტების ფი-
ნიები,—ჩვენ ნათლად დავინახავთ იმ უდიდეს და
უძლიერეს განსხვავებას, რომელიც ამ მხრივ არ-
სებობს: დღეს საბჭოთა საქართველო ზრდის ხანა-




ში იმყოფება - ეკონომიურ სფეროდან დაწყებული და კულტურული სფეროთი გათავებული.

და როდესაც დღეს ჩვენ ჯამს ვუკეთებთ მუშურ-გლებურ ხელისუფლების მიერ ოთხი წლის განმავლობაში ჩატარებულ მეტად მძამე და საპასუხისმგებლო მუშაობას, ყოველმა მშრომელმა, ყოველმა ახალგაზრდამ, ყოველმა მოწაფემ, ყოველმა პიონერმა უნდა იცოდეს, რომ თვითველი ნაბიჯი,

ყოველი მიღწევა — ეს ძლიერი წინსვლაა სხელისუფლებისთვის, მის მიერ დასახულ მიზნისაკენ.

ამ შეგნებით მტკაცედ განვაგრძობთ ჩვენს რევოლიუციონურ საქმეს ლენინის გზით და ანდომით.

შანი.




25 თებერვლის გე-4 წალი

ო, საქარბელო გასაბჭოების მეოთხე წელზე თავის ოქტომბრის სამრეკლოზე შვებით რეკს ზარებს... მღერის ნეტარი... მზეს ეხვევა, ამბოზად, ყელზე, და ურჩ ძიებით საუკუნებს ჰგრებს, აზანზარებს!

სისხლისფერ დროშებს აფრიალებს ამაყად ქარზე, — უსაზღვრო არის დღეს იმისი გიჟი ქენება; თავისუფლების ჰყვის ჰიმნს, სიამით, ქნარზე, და ამბობს ახალ ლეგენდებს ვარდის თენება!...

მიჰქრის მსოლიო რადიუსით ზე აღმართული, რომ უკარნახოს საქაროს თავისი ნება; ძლივით გაისმის უკვდავი სიტყვა ქართული და, მზად არს, რომ შეაგებოს მტერთ შერკინება!..

მაყვალა-ზაირო.



27 თებერვალი

ბრძოლის სურათები.

ჰეი, ქალაქო, დაიტიე ჩვენი სურვილი!... და ჩვენთან ერთად მილიონი მოელო ქუჩებს... ჩვენ ამ ბრძოლაში ერთი ვართ და ერთად ვივლით, ჩვენს ძლიერ ნებას, აღმოდებულს, ვინ გადაურჩეს.

* * * აქ ძლიერი ვართ, გაქანებას არ აქვს საზღვარი; აქ გრივალი ვართ, რისხვით სავსე, დაუნდობელი; აქ ჩვენ გვახელებს მძლე ყუჩინა და სახლის ღვარი, ჩვენ, შეუპოვრებს, უთვალავს და მეტის მდგომელებს!

დიდო ქალაქო, * * *

დასერილო შავ მავთულებით, არ გვიყვარს ღამე, გვწამს, სიმშვილით ვერ წავალთ ვერსად. შენი თვალები, ალისფერი სანათურები, სხივებს აფრქვევენ მებრძოლთ რიგებს და ბრძოლის მტვერსა და ჩვენ წინა ვართ! ვინ გვაკავებს, ჩვენ სულ წინ მივქრით; საბედისწერო ბრძოლა არის, ტირილი, კვნესა: სად არის ცეცხლი, უფრო მეტი... ჩვენ, როგორც ფიქრი, ისე სწრაფი ვართ, იქ ვინთებით ჩვენ უარესათ.

* * * წყევლა და კრულვა! ვინ დაეცა, იქ ვინ შეჩერდა?

გი, წინ გასწით...
 არ გეჭირია ეხლა სინაზე;
 მოგვეციოთ ცეცხლი,
 მეტი ცეცხლი... და ვინ დაჯერდა
 მცირეს,
 როდესაც სიძლიერის ნიშანი გვაზის

* *


ბარკადები სისხლის ღვარში
 მებრძოლებს სცვლიან,
 აბა ვინ იგრძნოს დაღლილობა,
 ჩვენ დრო არ გვინდა...
 ამხედრებული მეომრები კიდევ ივლიან,
 ვინ სთქვა,
 ხელები მოეთენთათ და ძირს დასცვევდათ!
 და ისევ მტვერში
 იპუდრება ბრძოლის ქუჩები,
 ყრუ გუგუნია და ქაოსი,—
 მოხსენით ფარდა...
 გააფთრებულნი კვლავ იბრძვიან
 ბედის ურჩები;

დროშა წითელი სისხლიანი
 ძირს თუ დავარდა!..
 მაგრამ ეს ვინ სთქვა?
 ვინ გაბედა? ან ვის აქვს შიში?
 წინ გადაეშვით, მეომრებო,
 კვამლით და სისხლით...
 ნუ გავიწყდებათ, რომ ბედი ვართ,
 ბრძოლებში ვიშვით,
 გაღვიქვით მეხათ
 უღმობელი და მძაფრი რისხვით..

* *

ისევ მოგედოთ მტერთა რიგებს
 შიუჩერებლივ.
 ალურ ნებით ნისლიანი
 დავხიოთ სივრცე;
 ერთი-ათასად დაიღვაროს
 თუნდ კიდევ ცრემლი,
 რაც ჩვენ გვეკუთვნის,
 მას აროდეს სხვებს აღარ მივცემთ.


კ. ლ—ძე.



სეზონი

ძალღმირი ერთგული მეგობარია ადამიანი-
 სა,—ეს ყველამ ვიცით, მაგრამ ისე გულამყუჩებე-
 ლია ეს მეგობრობა, რომ კაცს აროდეს მოსწყინ-
 დება მასზე წერა.
 მაშ მეც ვიამბობთ ჩემი მეგობრის ტუგრის
 ამბავს.
 ერთხელ შემეჩვია ერთი უბატრონო ძაღლი.
 მოვიდოდა ჩემს სარკმელთან და შემომცქნაოდა.
 დამშეული იყო... გადახნაპული...
 მეც ვაქმევი, რაც მომეპოვებოდა.
 ოთახშიაც შემოვიწვიე.
 ვუმასპინძლე.
 ვათბობდი... ვაპურებდი...
 თანასწორად ვუზიარებდი, რაც მომეპოვებოდა
 სასუსნავი...
 არ ვიცი, რა ერქვა წინეთ.
 ახლად მოვნათლე... ტუგრია დავარქვი...
 დავეგობრდით... დავეგობრდით...

ბევრჯელ პატარა ბავშვივით ვეთამაშებოდი...
 ვეჭიდებოდი...
 ხშირად სერიოზული საუბარიც მქონია მას-
 სთან.
 მე მაკვირებდა, როგორ რაღა გაუშინაურდა ადამი-
 ანს.
 რატომ არ დაუბრუნდება თავის სამშობლოს
 ტყეს, საცა სკხოვრობენ მარად ამაყი და გაღაო-
 გვარებელი მისი წინაპარი მგლები.
 რამდენჯერაც ვამხილე კიდევ:
 — შენ დამნაშავე ხარ შენი თავის წინაშე...
 თავისუფლება ანაცვალე კაცს... საარაკოდ გამ-
 ხდარა შენი ერთგულება ადამიანისადმი.
 მერე, დაგიფასდა?...
 ისწავლა შენი ყადრ-ყამათი?
 გამწარებენ...
 ცხვირში ძმარს გადენენ...
 ერთადერთი კაცი იყო ქვეყანაზე, რომელმაც
 გატაცებით შეგიყვარა.
 ყველა მეგობარს ერჩვენთ ძაღლები...
 ეს იყო მსოფლიო მწუხარების მგოსანი ბაი-
 რონი...



მან ანდერძი დასტოვა, რომ იგი თავისი ძაღლის გვერდით დაესაფლავებიათ...
 მაგრამ ბაირონი გამონაკლისი იყო...
 სხვები?...
 სხვები?..

ისინი ერთგულ გუშაგობისთვის ღირსით გამსპინძლდებიან...

სახრე-კომბლებით გელერსებიან...
 ამ საუბრის დროს ძაღლი კუდის ქიცინს იწყებდა...

ჭკვიანი თვალების მეტყველებით მიპასუხებდა:
 — მართალია... უყამურია, უჯიგროა ადამიანი... მაგრამ მე ეს არ გამომცვლის... მე მაინც ვერ აყვრი მას გულსა...

— თავისუფლება?... თავისუფლებას რისთვის დასთმობ?..

— მეგობრობა უფრო ტკბილია, ძვირფასია, ვიდრე თავისუფლება...

— სულელი... — მიმიხლია მისთვის დინგში...

ვინ უფრო მართალი იყო ჩვენში — მე თუ ისა?..

* *

მიუხედავად იმისა, რომ ძაღლს ასე კაი-კაიობით ვამკობდი, — იგი მაინც არ შემომწყრომია... პირიქით, უფრო შემეტვისა...

სულაც ჩემთან დაბინავდა...

მიზოზინებდა დრო...
 საკუთარ ჩრდილივით განუშორებლად თანამდევდა სიღარიბე...

ბოლო დროს უფრო გამიჭირდა. სესხითაც კი ვერსად ვიმარჯვდი ხელს...

ორი-სამი დღის განმავლობაში ჩემს პირში ნაწილი არ ჩასულა.

ტუგრიაც დამემშა...
 ფერდი ფერდს შემოეკრა...

მიიღრძვა...
 შემებრალო... შიმშილმა ფეხი არ აფშეკინოს ბეჩავს...

სწორედ ამ დროს იგი ჩემს ნაცნობს მოეწონა და მთხოვა.

მე ჩავაფრინდი ამ შემთხვევას და, თუმცა მიმძიმდა მასთან დაშორება, მაინც გავუბოძე...

ტუგრიამ შორს დაიჭირა ეს ამბავი...
 ერკემლის სიჯიუტით უჩიობდა...
 ბოლოს მოტყდა...

წაჰყვა...
 დავრჩი მარტო...
 ნაღვლიანმა ფიქრებმა შემბურეს...

თუმცა მე თვით ვუფეშქაშე ტუგრია, მაინც მეწყინა, რომ დამომო...

ადვილად ამომირეცხა გულიდან...
 ის ეხლა, უეჭველია, ზის თბილს ოთახში...
 შეიძლება ქათმის კაკნატელგბსაც ახრამუნებდეს მალიანად...

ალარ ანსოვს მეგობარი, რომელაც სიმწარეს შეუბყვრია ტყვეთ.

* *

აკი ძაღლი ერთგული მეგობარია...
 ვიწყე მოგონება ვრცელი, ვრცელი ამბებისა ძაღლის მეგობრობის შესახებ...

ოღისეის ჰყავდა ჭკვიანი ძაღლი არგოსი...
 სახელოვანი გმირი ოცი წლის განმავლობაში მოშორებული იყო მშობელ მხარეს...

როგორც იყო ეღირსა დაბრუნება...
 ვერაინ იცნო...

მისს უსაყვარლეს და უერთგულეს მეუღლეს, პენელოპასაც, კი ეუცხოვა...

იცნო მხოლოდ არგოსმა, რომელიც მიუხედელობას და შიმშილს მიელასლასებია...

ისე ძლიერად გაუხარდა პატრონის დაბრუნება, რომ ვეღარ გაუძლო მღელვარებას...

სული დალია პატრონის ნახვით გაბედნიერებულმა...

არგოსს მოჰყვებოდა გონებათა ქარავანი...

მათ შორის საყვარლად ყელყელაობს ყურშა, ყორნის ჯიში ყურშა...

ხალხური ლექსი დღესაც აღერსით იხსენიებს მას...

ყურშას ყურ-ტუჩი ოქროს ასხია,
 ყურშას თვალები მთვარესა ჰგვანდის...
 ყურშას თითები კალოს ოდენი,
 ყურშას ნახტომი დიდი მინდორი...

...
 აღმა ლომია, ჩაღმა კაკაბი...

...
 ამირანის მეგობარაა ეს ყურშა...
 ხალხს დევები სისხლიან პურით ჰკვებავდენ...
 ამირანს რძეში მოზეღილი პური უნდოდა მათთვის გაეჩინა...

უმუხთლო ბედმა...
 გოროზმა და ზვიადმა მეუფემ მისჯა ქვა გმირი...
 ყველამ დაივიწყა...

მარტოობა ხვედრია დამარცხებულისა...
 არ განშორებია მხოლოდ ყურშა...

იგი საუკუნეიდან საუკუნედღის გმირთან არის...
 ულოკავს ქანგიან ჯაქვს, რომ გასწყვიტოს და გაათავისუფლოს.





ყურშას მიჰყვნენ სხვა მოსიყვარულე ძაღლები.
„ოთარანთ ქვრივის“... „მოდღრის“...
ეპ...
ტყუილი ყოფილა ყველაფერი ეს გმირობა ძა-
ღლებისა...



პოეტის ფანტაზიას შეუმჷვერებია სრულიად
დაუმსახურებლად...

მაგრამ რად მოგყევი ასეთ ლათაიებს?..
მხოლოდ იმიტომ, რომ ტუგრიამ მიმატოვა...
საკვირველი რამ არის აღამიანი...

რაც უნდა ამაყი იყოს და ჩაღა-ბულად არ
მიაჩნდეს სხვათა ყურადღება, ჯავრით მოიღვარ-
სლება, როცა გაიგებს, რომ მასზე აღარაფერ ჰფი-
ქრობს... რომ იგი ყველამ დაივიწყა...

* * *

შემოდგომის მუქი ჯღღავი, ქანკახი საღამო
იყო.

წვიმის წვეთები გველის წიწილებივით იგლა-
რძებოდნენ სარკმლის მინებზე...

მობამბარუზე ქარს ყვითელი- ფოთლური ისე
ეხვია, როგორც მთხოვარას ფარა-ფარად ქცეული
წამოსასხამი...

ქარი აწვებოდა ჩემს ოთახს...
თითქოს მებვეწებოდა შემეშვა... გამეთბო...
შემბრალე ვარ...

ქვეყნის ბიძაობა მხვდა წილად...
ღიხაც შემოგუშვებდი იმ ეულ ქარს, მაგრამ...
ჩემს ოთახში უარესად ციოდა...
შელამდა...

უფრო აცივდა...
კინწმონწყვეტილი მივბრაცუნდი ჩემს ხელს
სარეცელთან და მივწეკი დასაძინებლად...
მომიტაცა ნაღვლიანმა ფიქრებმა...
რად, რატომა ვარ ასე გაჭირვებული?..
ნუთუ უნარი არაფრისა მაქვს...
ზა სათქმელია...

მიჭირს იმიტომ, რომ ნიკოლოზის დახვეც-
ბულ წეს-კანონებისაგან საზოგადოებისთვის მავნე
პირადა ვარ გამოცხადებული...

მღევნიან...
ერთხელ გაფიცვა მოგუწყე ერთს დარგში და
ის დღეა — დასაჭერად დამღევენ...

სამსახურში ველარ მივსულვარ დაპატიმრების
შიშით...

ცისმარე დღე სული კბილით მიჭირავს, საღმე
არ მომატანონ...

ჩემი მეგობრები ჯერ ვერსადა მხედებიან და
თუნდა შეიხვდნენ კიდევ — თვით რა აქვთ, მე რა
მომცენ...

ახ, როდის, როდის გაუჩნდება ხანძარი ცო-
ღვებით დამძიმებულ თვითმპყრობელობას...

* * *

ვილაცამ ჩემს კარს ფხატუნი დაუწყა...
არაფრად მესიამოვნა უდროო დროს ოხრების
მოღვებმა...

ბუზღუნით წამოვდექი და გავაღე კარი...
ტუგრია იყო...
ეს კი მესიამოვნა...

მოვეალერსე...
პირში რაღაცა ეჭირა...
სკამიდან ახტა მაგიდაზე და დასდო მოხარ-
შული ხორცის მომსხო ნაჭერი...

შემდეგ მომახტა და დამიწყა ხელების ლო-
კვა...

მესიყვარულეობდა...
აშკარადა ვკითხულობდი მის თვალებში მუ-
დარას:

მეკამა...

ციებ-ცხელვებით გალენჩებულს მადა აღარა მქონდა...

მაგრამ ისეთი ნაზი იყო მისი ლალაობა, რომ ხათრი აღარ გავუტყებე...

ნაძალადევიად შევეჭამე ორიოდღე ლუკმა... შემომყურებდა და კუდს ათამაშებდა...

უხაროდა, რომ შემანაყრა...

იმ ღამით ჩემს ბინაზე დარჩა...

უთენიავე გასწია თავის ახალ პატრონთან...

სალამოთი კვლავ მომიტანა საჭიელი...

ასე გრძელდებოდა შემდეგ დღეებშიც...

მე გაციება ანთებად გადამეკვა.

სახლის პატრონი ჯერ წინეთ მეჩხლებოდა...

მისი საყვედურისაგან ცხვირი მქონდა გაჩვიტილი:

რატომ დროით არ იხდი ქირასაო...

ახლა ჩემ ავადყოფობის გამო მთლად გადაუწყდა ფულის მიღების იმედი.

მას ეჭვი ჰქონდა იმაზე, რომ მე ახალთაობის კაცი უნდა ვყოფილიყავი და ვიმაღებოდი...

ეს ამბავი ღიასახლისს ახლა ჩინებულად გამოუყენებია.

— ეგება როგორმე მელირსოს ოთახის განთავისუფლებაო — გაუფიქრია მას...

კუნკულ-კუნკულით წასულა „ვისთანაც ჯერ არს“ და დაუსმენივარ იმ სულქოროტას...

* * *

ერთ ღამეს დიდი სიცხე მომცა.

ვბოდავდი გრძელ-გრძელ ლეგენდებს თავისუფლებაზე... ბარიკადებზე... რევოლიუციის ქარიშხლებზე... სოციალიზმზე... როგორც ყოველთვის, მაშინაც ჩემთან იყო ტუგრია...

გარეთ ჰყინავდა...

მთვარე ჰქათქათებდა...

იწვა ჩემ ფეხთით ტუგრია...

შეპყურებდა მთვარეს, რომელიც საკმლიდან დაგენათოდა...

ნალვლიანად წკმუტუნებდა.

შუალამე იქნებოდა, რომ გაისმა ოთახის კარის ბრახუნნი... ფეხების ხმაურზე ეტყობოდათ, რომ ერთი და ორი კაცი არ იყო...

მათ კარი ჩაკეტილი ეგონათ და მძლავრად არახუნებდნენ...

ლონე მოვიკრიფე... მიკნავლებული ვიყავი ვეხმაურე:

— ვინა ხართ ამ დროს?.. რა ამბავია?..

— გააღეთ კარი... დეპეშა თქვენს სახელზე! — მიპასუხეს გარედან.

დეპეშა!..

ისევე ეგენი გაიგუდებინან...

ვის მოვავონდებოდი ამ დროს, რომ დეპეშით მოვეციოთხე.


მიეხვდი საქმის ვითარებას...

ეს დაუპატიჟებელი სტუმრები — ჟანდარმები იყვნენ...

ფუქემომპალ ცარიზმის გადასარჩენად დაგეშილი ჟანდარმები..

დეპეშის მოგონება მათი ჩვეულებრივი თან-

დი იყო...



ყოველთვის ასე იცოდნენ. უნდოდათ ამნაირად დაებნიათ თვისი დამხდური მსხვერპლი...

ბევრი გულუბრიყვილო იჯერებდა კიდევ... მიამიტად უღებდა კარს...

ბევრი ველარ ახერხებდა გაპარვას, ან არა და საეჭვო ხასიათის დოკუმენტების მოსპობას.

მე არ დამიჯერებია მათი ოინბაზობა, მაგრამ მაინც რას გავაწყობდი... არაქათი სადა მქონდა, რომ სარკმლიდან გადავპარულიყავი...

გაიღო კარი და შემოეყუდენ ახმახები...

გარკვევით ვერ ვამჩნევ მათს სახეებს... დამბნედად მოდის არყის სუნი...

ყველანი გამტყვრალეები არიან...

გავაჩაღე ნათურა...

ყველა გამოჩნდა...

მათში გამოერჩევა წინ მდგომი ჟანდარმის როტმისტრი.

ნეტავი გენახოსთ სახელოვანი მხატვრის რეპინის „დუელ“...

იქ სდგას ყელმოღერებული, ფუქსავატი აფიცერი სეკუნდანიტი, და კვაყოფილებით უყურებს „დუელში“ განგმირულ ახალგაზრდას... საცოდავის განწირულ თვალებში იხოცებიან უკანასკნელი ნატვრა-ოცნებანი — ის კი პეიტრად დოინჯშემორტყმულია და თუთუნს აბოლღებს...

სწორედ ის აფიცერი მომავონა ამ როტმისტრმა...

სწორედ ის აფიცერი მომავონა ამ როტმისტრმა...

ზიზილ-პიპილა პაგონები...
 ოქრონემსული ტემლაკები...
 დეზების ჩხაკუნია...
 თავხედი, დამცინავი გამომეტყველება...
 ფუქსავატი მედიდურება...
 აი მისი სილუეტი.
 ხელში ეჭირა ორდერი ჩემს დასაპატიმრებლად.
 მაწვდის მას და ვერა ჰმალავს თავის სიხარულს...
 გული უფართქალებს...
 ან როგორ არ ინატროს...

ძლივს უემიპყრო...
 მას დამსახურების ქაღალდში ჩაუწერენ დიდხანს გადამალულ რევოლიუციონერის კვალის მიგნებას...
 სამსახურში დაწინაურებენ...
 ვერცხლს ჩაუჩხრიალებენ...

* *
 ამაოა ჩემი მტკიცება, რომ ავადა ვარ და ვერ წავეყვები...
 არაფრის გაგება არ უნდათ...

ეტლი უცდისთ ძირს...
 ნებით რომ არ დავყვეი—ძალით მოპინდოცეს გატანა...
 უემომეხვიენენ...
 ტუგრია აქომომდეც ღავლავებდა... წკნავწკნავებდა...
 ახლა მთლად გაცეცხლდა...
 გადამეფაფრა...
 არ ანებებდა ჩემს თავს...
 ხან ერთს სწვდა... ხან მეორეს... ხან მესამეს...
 როტმისტრს მაზარაც კი ჩამოათხრიწა...
 შეიძლება ტუგრიას გავაჩვენა კიდევც...

მაგრამ უცბად მოხდა საშინელება:
 როტმისტრმა იძრო რევოლვერი და სამჯერ შუბლში დაახალა ტყვია ტუგრიას...
 ტუგრიამ დაწნავლებაც კი ვეღარ მოასწრო...
 მხოლოდ ერთხელ კიდევ მომაპყრო თავისი მოსიყვარულე თვალები, თითქოს მაინც ბოდიშს იხდის, ვერ გისხენი ამ ჯალათებისგანაო და სულიც ამოხდა...
 მე ისევ სიცხის ნისლმა გამაბრუნა...
 ვეღარ გავიგე როგორ წამიყვანეს...
 მახსოვს მხოლოდ ეს, რომ გამომეღვიძა ბნელს სატადფში, სადაც ვირთავგები დაფხაკურობდენ და მიაშობდენ იმ ტუსათა ვინაობას, რომელთაც იქ გაუვლიათ...



აქ იწყება სულ სხვა ამბავი და ვწყვეტ მას...

* *
 ეპიტაფიის ნაცვლად კიდევ ორიოდ სიტყვა ტუგრიასზე:
 ჩემს ხსოვნაში აროდეს წაიშლება ტკბილი მოგონება იმ ძაღლისა, რომელმაც სიცოცხლე

განაცვალა მხოლოდ იმიტომ, რომ გადავერჩინე ტყვეობას...
 როდესაც საძვე შევხვდები ტუგრიას ჯურა ძაღლს,—არ შემიძლია თვალცრემლიანი არ მივეაღერსო...
 მიკვირს:
 რად არის ძაღლი სალანძღავ სინონიმად გადაქცეული...
 რომ გავგოთ ძაღლების ყადრი, აღარასოდეს მიმართავდენ ასეთს უხაბრობას...

დ. თურდოსპირელი.



წითელ სამშობლოს შვილნი

ტ რ ი ო .

ლიზა: წითელ სამშობლოს შვილნი
ვეტფრით მის ბუმბერაზ მოებს;
სისხლისფერ ვარდათ შლილნი
მზისაკენ ანცად ვშლით ფრთებს.

გოგი: გვიყვარს, როს ცის ლაყვარდი,
დაჰქათქათებს მის ველებს;
ფრინველთ სტვენა, ნავარდი
გულს სიამით ასველებს...

ნინო: და ეს ტურფა ბუნება
უხვად გვიშლის თვის კალთებს;
ნაზ სულს ესალბუნება—
შვების კოცონებს ანთებს!...

ერთად: ვენახთ მწვანე ხეივანს
რუ ლიკლიკით ზე არხევს;
ნამი ნეტარად პირს ჰბანს
და ქუბილით ერთვის ხევს.

სოფელი ჰხარობს ჩვენით,—
ქალაქი რაზმავს ქუჩებს;

მშობელნი ტკბილის ენით
და კოცნით გვზრდიან ურჩებს.

წითელ დროშის ფრიალი
გვიყვარს ჩაქუჩ-ნამგალზე.
და ვარსკვლავთა ციალის
აქარგვა შრომის აღზე.

კომუნის ამაყ ქარზე
ისმის ჩენი სიმღერა;
თავისუფლების ქნარზე
ელავს ბრძოლის სიმთ ჟღერა.

საქართველოს ვკოცნით ყელს,—
ჰიმნს გვივალობს მნათი მზე;
მსოფლიოს ბავშთ ვუწვდით ხელს—
ვიწვევთ ყვავილთ ნადიმზე...

სეზმან.

შვილი მელი კლდევან კუნძულზე

ამ მოთხრობაში აღწერილია ნამდვილი და
არა მოგონილი თავგადასავალი.

დანიელ ფოსი, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთე-
ბული შტატების მოქალაქე, ელქტონის მცხო-
ვრები მერილენდში, 1809 წელს ფილადელფიის
ნავსადგურიდან ორანდიან ხომალდ „ნეგოსიატო-
რით“ წავიდა ამხანაგობის კუნძულებზე.

ხომალდი დაიღუპა, ფოსი კი გამოორიყა ერთს
პაწია და უდაბურ კლდის კუნძულზე, საცა გაატა-
რა რამდენიმე წელიწადი. ის იკვებებოდა სელაბე-
ბით, მგზავრებში მხოლოდ ფოსი გადარჩა. ხომა-
ლდი დაეჯახა ყინულის მთას 25 ნოემბერს 1809
წელს და დაიღუპა.

1. ყინულის მთაზე დაჯახება.

„ნეგოსიატორის“ წინა ნაწილიდან საშინელი
ტკაცვანი მოისმა, რომელმაც მე გამოამაღვიძა. ჩემ-
თან ერთად გაეღვიძა ვახტის მოხელეს, შემდეგ ჩა-
ძინებულ ექვს მატროსს. საშინელი რყევისაგან
ყველანი იატაკზე ჩამოცვივდნენ.

მაშინვე მივხვდი, რაც მოხდა.

ნახევრად ჩაცმულები, ყველანი გარეთ გაცვივ-
დნენ, მე კი ვიცოდი, რისი იმედი უნდა მქონოდა
და ვიცდიდი.

გადაჩენა შეიძლებოდა ბარქაზით.

მე ვიცოდი, რომ ყინულოვან ზღვაში ცურვა
შეუძლებელი იყო, მსუბუქად ჩაცმული დიდხანს
ვერავინ იცოცხლებდა გადაუხურავ ნაწი. ვიცოდი
აგრეთვე, რამდენი დრო მოუნდებოდა ბარქაზის
წყალზე ჩაშვებას.

ზეთის სანათურის მბუტავ შუქზე სწრაფად
ამოვყარე სკივრიდან ყველა ნივთები და დავიწყე
აბილი ტანსაცმელის ძებნა. ბაქანიდან ისმოდა სა-
შინელი ხმაურობა და ყვირილი, გემი იღუპებოდა.

რადგანაც ვიცოდი, ჩემ ამხანაგებს მათი ნივ-
თები აღარასოდეს დასჭირდებოდათ, მე სწრაფად,
მაგრამ ამასთანავე გულდამშვიდებით, გავჩხრიკე ყვე-
ლას სკივრები და ამოვარჩიე უთბესი და გამძლე ნი-
ვთები.

ყვირილი, ხომალდი იღუპებაო, უფრო გაძლიერდა, მაგრამ მე კიდევ შევიცადე ცოტა, რომ ჯიბეები თუთუნით გამეფსო და მხოლოდ მერმე აველ ბაქანზე.

უკვე დროც იყო. ღრუბლები გაიფანტა და მთვარემ საშინელი ნგრევის მკაცრი და მრისხანე სურათი დაგვანახვა.

ხომალდის გარშემო ზღვა ნატყეხებით და ყინულით იყო სავსე.

იალქანი, თოკები და სალტები, რომელიც რაღაც სასწაულით ჯერ კიდევ შერჩენილიყო დიდ ანძაზე, ყინულით იყო გარშემორტყმული.

მე უცებ თითქოს კმაყოფილებაც კი ვიგრძენი, როცა წარმოვიდგინე, რომ მეტი აღარ მომიხდებოდა გაყინული თოკების გასწორება და ყინულის ჩამოშორება, რომ უკანასკნელს არ შეეშალა რგოლებისთვის თავისუფლად სრიალი.

ცივი გრივალი მრისხანედ ღრიალებდა, რაც აისბერგების*) სიახლოვეს მოასწავებდა. ადელფეზბული ზღვა მთვარის სინათლეზე განსაკუთრებული სიცივის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ბარქაზი ჩაეშვათ ხომალდის მარცხენა მხრიდან. გაყინულ ბაქანზე მატროსები ძლივს მიმოდიოდნენ და სასწრაფოდ ყრიდნენ ბარქაზში საქმლით სავსე კოდებს და კასრებს.

ყველა ჩქარობდა მიეტოვებიათ ხომალდი. კაპიტანი ნიკოლი უშედეგოდ სთხოვდა მათ, წესრიგი დაეცვათ.

უცებ ტალღამ შემოჰკრა ბაქანს და რამდენიმე მატროსი გაიტაცა. ამ გარემოებამ საკითხი გადასჭრა.

მე მივუახლოვდი კაპიტანს და ყურში ჩავყვირე, რომ ის ბარქაზში გადასულიყო და წასვლა შეეჩერებია; საქმელ-სასმელის საკითხს-კი მე მოვაწესრიგებდი, მაგრამ დრო ცოტადა დარჩენილიყო.

მეორე შტურმანის, აარონ ნორსრუბის, დახმარებით ძლივს გადავეცი ბარქაზზე რამდენიმე კოდი და ყუთი, როდესაც დამიძახეს, მივდივართო.

ესლა კი ისინი მართალი იყვნენ: პირდაპირ ჩვენკენ მოსრიალებდა ყინულის მთა, მეორე მხრით კი ამართულიყო მეორე — ის, რომელსაც ჩვენ დავეჯახეთ.

აარონ ნორსრუბასწრაფად გადახტა ბარქაზში. ჰე ცოტა კიდევ შევიცადე და გადავხტი, როცა ბარქაზი უკვე დაინძრა.

ბარქაზის ბოლოზე ისხდნენ შტურმანი ულტერჯეკი, ექიმი არნოლდი ბენტამ, აარონი ნორსრუბი და კაპიტანი ნიკოლი, რომელიც საქვს მართავდა.

*) აისბერგი — ყინული მთა.

ექიმი სინჯავდა ნორსრუბს, რომელიც იწვევდა და ტკივილისაგან კვნესოდა. მას უბედურება ეწვია: ნახტომი ვერ გამოზომა და ბარძაყის ძვალი მოიტეხა. მაგრამ ჩვენ მისთვის არ გვეცალა, რადგანაც იძულებული ვიყავით შევბრძოლებოდით აბობოქრებულ ზღვას და ამავე დროს ორი მხრიდან ყინულის მთები გვემუქრებოდა, რომლებიც ერთმანეთისაკენ მიექანებოდნენ.

ნიკოლ უილსტანს არ ჰქონდა საკმაო ადგილი ნიჩბების მოსასმელად, ამიტომ შევეცადე, უფრო კარგად დამელოგებია კოდები და ყუთები, შემდეგ დავიჩოქე მის პირდაპირ და მთელი ძალდონით ვაწვებოდი მის ნიჩბს. წინ, რაც ძალი ჰქონდა, უსვამდა ჯონი რობერტი, უკანიდან არტურის ჰასკუნი და იუნგა ბენი ხარდოუტერი შევლიდნენ მასვე.

ძნელი სამუშაო იყო, მაგრამ ჩვენ მაინც გავცურეთ ასი იარღი. მოვიხედე და დავინახე ხომალდის დაღუპვა: ორ ყინულ შუა იყო ის ჩაქერილი.

ჩვენ არაფერი გავვიგონია ქარის ღრიალში, თუმცა ხეებისა და კოჭების მტვრევის ხმა მშვიდობიან ღამეში მთელ სოფელს გაადვიძებდა.

ხომალდის ქიმები ჩუმად და ადვილად შეეწება ერთი-მეორეს, ბაქანი დაიშხვრა და ხომალდის ნაშთი ჩაიძირა, რადგანაც სწორედ იმ ადგილს დაეტაკა ერთი-მეორეს ყინულის მთები.

2. ნავში.

ღამე ჩემთვისაც კი შეტად ცივი იყო. მე ჯვლაზე თბილად ვიყავი ჩაცმული, და რას გრძნობდნენ სხვები, ამაზე ვაფიქრებაც მეშინოდა.

ყინულის მთასთან შეხვედრის შიშით, ჩვენ ამოვწურეთ მთელი წყალი ნავიდან და ხელთათმანით ვიზელდით ცხვირს და ლოყებს, რომ არ გავყინოდა.

ღალით შევეცადეთ გამოგვერკვია ჩვენი მდგომარეობა. ყველანი, ორის თუ სამის გარდა, ყინულმა დააზრო, აარონ ნორსრუბი ვეღარ ინძრეოდა და ძალიან ცუდად იყო. ექიმის აზრით, ორივე ფენი საბოლოოდ მოყინული ჰქონდა.

ბარქაზი ღრმად იჯდა წყალში, რადგანაც ხომალდის მთელი შემადგენლობა — 21 კაცი — შიგ იჯდა. მათში ორი იუნგა იყო — ბენი ხარდოუტერი, რომელსაც ჯერ კიდევ ცამეტი წელიც არ შესრულებოდა, და ლიტი დიკერი, რომელიც 16 წლის იყო. ჩვენი სურსათი სამასი გირვანქა ძროხის და ორასი გირვანქა ღორის ხორცისაგან შესდგებოდა. ოციოდე პური, ზღვის წყლით გაჟღენთილი, რომელიც მზარეულმა წამოიღო, ანგარიშში არ შედიოდა. გვქონდა კიდევ სამი პაწია კოდი წყალი და ერთიც ლუდი.

კაპიტანმა ნიკოლმა გულახდილად აღიარა, რომ ამ მისთვის უცნობ ოკეანეში არ იცოდა, ხმელეთის რომელი ნაწილი უნდა ყოფილიყო უფრო ახლო. დაგვრჩენოდა მხოლოდ უფრო თბილი მხარისაკენ წასვლა და სწორედ ასეც მოვიქვეციით. ავმართეთ პაწია იალქანი და მსუბუქი ქარის საშუალებით გავემართეთ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ.

მე ვყოფდი და ვანაწილებდი ხორცს კაპიტანის თვალწინ, და ვასრულებდი მოვალეობას სრული პატიოსნებით, თუმცა ზოგიერთი მაინც ბუზღუნებდა პირველ ხანებში. დროგამოშვებით ვანაწილებდი აგრეთვე თუთუნს, რომლითაც გავსებული მქონდა მრავალი ჯიბე. თუმცა ეს ძალიან მაწუხებდა, რადგანაც წილს იღებდენ ისეთებიც, რომელთაც ერთის ან, ბევრი-ბევრი, სამი დღის სიცოცხლე დარჩენოდათ.

მართლაც, ჩვენს ახდელ ნაწილში მალე მოიკალაათ სიკვდილმა; მაგრამ შიმშილისაგან კი არა კვდებოდნენ, არამედ საშინელი სიცივისაგან, რომლისაგანაც არაფერი გვიფარავდა. მხოლოდ უფრო ღონიერებს და გამძლეობას შევძლოთ სიცოცხლე.

პირველი მოკვდა ვენსი ჰასეუეთ. ერთ ნისლიან დილით ის ვნახეთ ნავის ცხვირზე მოკრუნჩხული და გაცივებული. შემდეგ მოკვდა ყმაწვილი ლიტი დიკერი. ბენნი ხარღუატერმა იცოცხლა ათი თუ თორმეტი დღე.

ასეთი სიცივისაგან წყალი და ლუდი გაიყინა და საშინელ სიძნელეს წარმოადგენდა ნორსრუბის დანით მისი დამტვრევა და თანასწორად განაწილება. ნატეხებს ვიდებდით პირში და ვწუწნიდით, როგორც შაქარს.

როდესაც მძვინვარებდა თოვლიანი ქარიშხალი, ძოვლი ბლონად გვქონდა, მაგრამ ამას ჩვენთვის არ მოჰქონდა დიდი სარგებლობა: თოვლი იწვევდა პირის ლორწოიანი გარსის ანთებას; პირი თანდათან შრებოდა და ხურდა და ამ მოვლენით გამოწვეულს წყურვილს ვერაფერი ეგრ ჰკლავდა. ამ შემთხვევაში თოვლის წუწნა ანთებას აორკეცებდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ეს იყო ლიტი დიკერის სიკვდილის მიზეზი. სიკვდილის წინ მთელი დღე უგონოდ იყო და სულ წყალზე ბოდავდა, თუმცა წყურვილისაგან კი არ მომკვდარა. მე ვცდილობდი, არ მეწუწნა ყინული და თუთუნის ლექვით ვკმაყოფილდებოდი. ამრიგად გადაურჩი ყინულის წუწნის სურვილს.

მკვდრებს ყველაფერს ვხდით. ტიტველი გაჩნდნენ ქვეყანაზე და ტიტველივე ვარდებოდნენ ბარქაზიდან ცივ, მრისხანე ოკეანეში. მკვდრების ტანსაცმელს ვანაწილებდით წილის ყრით. ასე ბრძანა

კაპიტანმა ნიკოლმა, არეულობა რომ არ მოხსნარიყო.

ხომალდის დაღუპვის ხუთი კვირის შემდეგ დაიწყო არეულობა საქმლის გამო. მე ამ დროს მეძინა, რადგანაც ეს ღამით მოხდა. კაპიტანმა ნიკოლმა დაიჭირა ჯედი გეტჩინსი, რომელიც კალიდან ღორის ხორცს იპარავდა. თურმე ის მოქმედებდა ხუთისხვა მატროსის შთაგონებით, რაც უკანასკნელთა მოქმედებამ დაამტკიცა: როგორც კი დაიჭირეს ჯედი გეტჩინსი, ხუთივე მატროსი დანებით ჩვენსკენ გამოქანდა. ვარსკვლავების სუსტ სინათლეზე დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. კიდევ ბედი, რომ ნავი არ გადაბრუნდა. მე დავრწმუნდი, თუ როგორ კარგად მოვიქვეცი, რომ იმდენი პალტო და ბლუზი ჩავიცვი. ჩემი ჩაცმულობის მეოხებით, დანებმა მხოლოდ გამკაწრა, თუმცა სისხლი მდიოდა თითქმის ათიოდე ჭრილობიდან.

ხომალდის ყველა მოსამსახურეთაგან გადავრჩით მხოლოდ სამი: კაპიტანი ნიკოლი, ექიმი არნოლდი ბენტამი და მე. შვიდი კაცი დაიღუპა, როცა ჯედი გეტჩინსმა სურსათის მოპარვა სცადა.

14 იანვარს, ხომალდის დაღუპვის მეშვიდე კვირას, ჩვენ უკვე უფრო თბილ ჰავაში ვიმყოფებოდით. თუმცა ნამდვილი სითბო არც მაშინ ყოფილა, მაგრამ ისეთი მკაცრი სიცივეც აღარ იყო.

ამოდენა ნაწილში და იმდენად დასუსტებულებს, ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვეძლო ნიჩბების მოსმა. დაგვრჩენოდა გამოგვეზოგა საქმელი და ჩვენი თავი ალალ-ბედზე მიგვენდო.

20 თებერვალს შეგვამეთ საქმელის უკანასკნელი ნაქერი. რა მოხდა შემდეგი კვირის განმავლობაში, მე მირჩენია გავჩუმდე.

28 თებერვალს დილით ჩვენ მივხვდით, რომ დრო დადგა: ჩვენ უნდა ვიშოვოთ საქმელი, და ეს საკითხი უნდა გადავწყვიტოთ წილის ყრით.

ჩემი ბლუზიდან ჩამოვქერი სამი თანასწორი ნაქერი. ერთ მათგანში ჩქსოვილი იყო ყავისფერი ძაფი. ვინც ამ ნაქერს ამოიღებდა, ის უნდა მომკვდარიყო.

ნაქრები ჩავყარე ჩემს ქუდში და ზემოდან დავახურე კაპიტან ნიკოლის ქუდი. ყველაფერი მზად იყო, მაგრამ ჩვენ ცოტა შევიცადეთ.

კაპიტანმა, თავისი უფლებების მიხედვით, პირველმა ამოიღო. როცა ქუდში ხელი ჩაჰყო, თვალები დახუჭა და შეჩერდა, თან რალაცას ჩურჩულებდა. მან ამოიღო ცარიელი ნაქერი. უნდა გამოვტყდე, რომ ბედი სამართლიანად მოიქცა.

დავრჩით ექიმი და მე. ან ერთი ან მეორე. საზღვაო წესდებით, მას უნდა ამოეღო წილი პირველს. მე ვიგონებდი მთელ წარსულ სიცოცხლეს

და ვითვალისწინებდი ჩემს დადებითს და უარყოფითს მხარეებს.

ექიმმა ჩაჰყო ქულში ხელი, და ცოტახანს არჩევდა ნაჭრებს, მე კი ვეკითხებოდი ჩემს თავს, შეიძლებოდა თუ არა შეხებით ყავისფერი ძაფის გარჩევა.

ბოლოს მან ამოიღო ხელი, რომელშიაც ყავისფერ ძაფიანი ნაჭერი ეჭირა. ექიმმა გაიშინჯლა მაჯა და აიღო დანა ძარღვის გადასაჭრელად. მანამდე კი მოგვმართა ჩვენ შემდეგი სიტყვებით:

— მე ვარ ნორფოკლიდან... ვირგინიაშია, იქ, ალბად, ახლაც ცოცხლობენ ჩემი ცოლი და სამი ბავშვი. აი ერთადერთი ჩემი თხოვნა: თუ როგორმე თქვენს სახითათო მდგომარეობას თავი დააღწიოთ და სამშობლოში დაბრუნდეთ, გააგებინეთ ჩემს უბედურ ცოლ-შვილს ჩემი ამბავი.

მერმე ზრდილობიანად გვთხოვა, რამდენიმე წუთი დაგვეცადა, რომ სიკვდილის წინ თავისი ცხოვრება გაეხსენებია.

არც კაპიტანს და არც მე არ შეგვეძლო დალაპარაკება და თვალცრემლიანივინებმა, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნიეთ.

მაგრამ, როცა არნოლდი ბენტამი მოემზადა და თავისი საქმის შესრულება დააპირა, ვეღარ მოვითმინე და დაუყვირე:

— დაიცადეთ! ჩვენ უკვე იმდენი ვითმინეთ, რომ ცოტა კიდევ შეგვიძლია დავიცადოთ. ახლა შუადღეა. მოვიცადოთ ბინდამდე. და თუ ჩანამდე არაფერმა შესცვალა ჩვენი მდგომარეობა, მაშინ თქვენ, არნოლდ, შეასრულებთ, რაც გადაწყვეტილი გვაქვს.

ბენტამმა შეხედა კაპიტანს, რომ გაეგო, თანახმაა ისიც ჩემს წინადადებაზე თუ არა. კაპიტანმა მხოლოდ თავი დაუქნია, რადგანაც არ შეეძლო სიტყვის თქმა. მის წყლიან, მკაცრ თვალეში მე დიდი მადლობა ამოვიკითხე.

მე არ ვთვლიდი და არც შემეძლო ბოროტმოქმედებად ჩამეთვალა, რომ კაპიტანი ნიკოლი და მე ვისარკებლედით არნოლდ ბენტამის სიკვდილით საკუთარი სიცოცხლის გადასარჩინად, მით უფრო, რომ ასე გადასწყვიტა წილის ყრახ. არ შემეძლო აგრეთვე არ მერწმუნა, რომ სიცოცხლის სიყვარული, რომელიც გვამოქმედებდა, თვით ბუნებამ ჩაგვიწერა. ეს იყო სიცოცხლის ნებისყოფა და ჩვენ, მისი სუსტი ქმნილებანი, მხოლოდ შემსრულებელი ვიყავით ამ ნებისყოფისა. მაგრამ ბედმა გადაგვარჩინა ამ საშინელ გადაწყვეტილების შესრულებისაგან. არ გასულა ნახევარი საათი, ამოვარდა დასავლეთის ცივი ქარი, ნისლით და ყინვით, რომელმაც ლოყები

დაგვიწიწკნა. ხუთი წუთის მერმე ავმართებოდნენ ჩვენი და მესაქედ არნოლდი ბენტამი დაჯდა.

— გაუფრთხილდით თქვენს ძალებს, — სთქვა მან — ისევ მე დავხარჯავ ჩემ შერჩენილ ღონეს, რომ თქვენი გადარჩენის შესაძლებლობა გაადვილდეს.

შუადღისას არნოლდ ბენტამს გული წაუვიდა, მაგრამ სანამ ნავს აბობოქრებული ტალოები გაიტაცებდნენ, კაპიტანი და მე ვსწვდით საჭეს მთელის ჩვენის მისუსტებული ძალებით. ჩვენ შევთანხმდით: კაპიტანმა თავისი უპირატესობის მიხედვით პირველმა ამოიღო წილი და ახლაც პირველი გაჩერდა საჭეს სახელურთან. შემდგომ კი ყოველ 15 წუთში ჩვენ ვცვლიდით ერთმანეთს. ჩვენ ძალიან დასუსტებული ვიყავით და მეტის ატანა აღარ შეგვეძლო.

დღის დასასრულს ზღვა აღელდა, არნოლდ ბენტამმა ისევ დაგვიწყო თხოვნა, შევჩერებულიყავით. მას ესმოდა, რომ ჩვენ მხოლოდ იმ მოსაზრებით განვაგრძობდით გზას, იქნებ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა აღარ დაგვჭირდესო.

მე პირველმა დავინახე ეს... სიკვდილს შერიგებული ბენტამი და კაპიტანი, რომელიც მზად იყო ასეთივე აზრს შერიგებოდა, ნავში იწვნენ, მე კი მესაქედ ვიყავი, როცა დავინახე ეს. სწრაფად მისრიალებდა ნავი, როცა ის ტალღამ ზემოდ აიტაცა და სწორედ ჩვენს პირდაპირ დავინახე პაწია კუნძულის ჩვენგან სულ ნახევარი მილით იყო დაშორებული.

ეს ისე შევეყვირე, რომ ორივემ წამოიწია. ნავის საჯღოშს დაეყრდნენ და გაიხედეს, საითაც მე ვუთითებდი. — მიმართე პირდაპირ იქით, დანიელ, — სთქვა კაპიტანმა, — იქნებ იქ პატარა ნავსადგური აღმოჩნდეს. მხოლოდ ამაშია ჩვენი ხსნა.

მან ისევ დაილაპარაკა, როცა კუნძულს მივუახლოვდით და არავითარი ნავსადგური არ აღმოჩნდა.

— მიმართე პირდაპირ დანიელ! თუ ეხლა ვერ მივალწიეთ კუნძულს, მერმე ვერასოდეს ვეღარ შევძლებთ ამას: ჩვენ მეტად დასუსტებული ვართ, რომ შევებრძოლოთ ქარს და ტალღებს.

ის მართალი იყო. მე ვკითხე, რომელი საათი იყო. ხუთი საათი ყოფილიყო. კაპიტანმა გაუწია ხელი ბენტამს და სუსტად ჩამოართვა, მერმე ორივემ შემომხედეს, ხელის ჩამორთმევის ნიშნად.

ეს სამუდამო გამოთხოვება იყო, მე ვიცოდი ეს. რა იმედი უნდა ჰქონოდა ჩვენსავით დასუსტებულ ადამიანს, რომ მიადწევდა კუნძულს, რომლის წინ აღმართულიყო მქუხარე ტალღებით გარშემორტყმული კლდეები.

ნაპირიდან ოც ფუტზე ნავი უკვე აღარ შემოიპოწილებოდა. იმავე წუთში ის გადაბრუნდა და

მე მლაშე წყალში მოვექცევი. ჩემი ამხანაგები აღარასოდეს აღარ მინახავს. მე ბედი მეწია — ტალღამ ამიტაცა და გამისროლა შორს, საშინელ კუნძულის ერთ-ერთ კლდოვან ნაპირზე.

3. მარტოდ-მარტო კლდოვან კუნძულზე.

მე წამოვდექი და თუმცა სისუსტისაგან ვბარბაცებდი და ძლივს ვიდექი, ვიცოდი, რომ უკვე გადარჩენილი ვარ. ნავი დამსხვრეულიყო ათას ნამტვრევად და, თუმცა არ დამინახავს, შემძლო წარმომედგინა, როგორ დაიფლითებოდა კაპიტანის და ექიმის სხეული. აქაფებულ ტალღებში დავინახე ნიჩაბი და თუმცა სახიფათო იყო, მაინც შეველი და გამოვიტანე. მერმე დავეცა მუხლებზე და ვგრძობდი, რომ მალე გონება წამივიდოდა. მეზღვაურის ინსტინქტმა მიიძულა, გავსულიყავ წვეტიან ლოდებს შუა და, როცა გონება დავკარგე, ისეთ ადგილს წავიქეცი, სადაც ტალღები ვეღარ უწევდნენ.

იმ ღამეს მკვდარივით გაშეშებული ვიყავი. მხოლოდ ხანდახან, ისიც ბუნდოვანად, ვგრძობდი, რომ საშინლად ციოდა და ერთობ სველი ვიყავი. დილით კი განვიცადე განცვიფრება და თავზარდამცემი შიში: არც ერთი მცენარე, არავითარი ბალახი არ იყო იმ კლდის კუნძულზე. $\frac{1}{4}$ მილის სიგანისა და $\frac{1}{2}$ მილის სიგრძის კუნძულზე არაფერი არ მოჩანდა, გარდა კლდისა და ღორღისა. არ ჩანდა არაფერი, რითაც შეიძლებოდა შიმშილის ან წყურვილის მოკვლა. ტყვილა ვცდილობდი და ვეწაფებოდი ტუჩებით კლდის ნაპრალებში და ღრუებში დაგროვებულ წყალს. აზობოქრებული ზღვის ტალღები ისე ენთქებოდნენ კუნძულს, რომ ყოველი ნაპრალი და ღრუ მათი ნაშხეფით გავსებულიყო. იმ ღამეს ქარისაგან ამოვფეფარე კლდეს, მაგრამ სიკვდილთან უფრო ახლოს ვიყავი, ვიდრე როდისმე. თავსხმა წვიმამ კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩამავლო. მე გავიხადე ტანსაცმელის ნაწილი და ქვებზე გაფფინე წვიმის წყლით გასაჟღენთად, მაგრამ როცა დავიწყე მისი პირში ჩაწურვა, სახტად დაგრჩი: ტანსაცმელი ერთობ გაჟღენთილიყო ზღვის მარილით, როცა გადამბრუნებული ნავიდან ზღვაში გადავვარდი, და წყალიც გამოუხადევარი აღმოჩნდა.

მაშინ დავწექი ზურგზე პირდაღებული, რომ რამდენიმე წვეთი წვიმა მაინც დამეჭირა. ეს მეტად სამძიმო და დამტანჯავი იყო, მაგრამ ლორწოიანი გარსი მაინც სველდებოდა და ამან ვაღამარჩინა გაგიჟებას.

მეორე დღეს ავად ვიყავი. თუმცა ბევრი დღე გავიდა, რაც არაფერი მექამა, საშინლად ვსივდებოდი. დამისივდა ხელები, ფეხები და მთელი სხეული. სრულიად მსუბუქი ხელის დაჭირებისაგან,

თითები მთელ დიუმზე სწევდა ხორცს სხეულში და ასეთი ნაოჭები დიდხანს აღარ სწორდებოდა.

ბეჯითად და სუფთად გავწმინდე ყოველი ნაპრალი მარილისაგან, იმ იმედით, რომ წვიმა გავსებდა მათ და ამრიგად სასმელ წყალს ვიშოვიდი. ჩემი სამწუხარო მდგომარეობა და ელქტონში დარჩენილი ძვირფასი პირების მოგონება ისეთ მწუხარებაში მაგდებდა, რომ საათობით უგონოდ ვიმყოფებოდი. ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი ტანჯვა მომკლავდა.

ღამით წვიმამ გამომალვია. დავიწყე ხოხვა ერთი ნაპრალიდან მეორესთან და ვლოკავდი შეგროვებულ წვეთებს. წყალი მომლაშო იყო, მაგრამ დაილეოდა.

ამ წვიმამ მე ვაღამარჩინა, რადგანაც დილით გამედგინა გაოფლიანებულს და აღარც ვბრადვდი.

საკვირველია, რა მდიდრად ვიგრძენი თავი, რომ ამოდენა მლაშე წყლის პატრონი ვიყავი. ვერც ერთი ვაჭარი, რომლის გემებიც საქონლით დატვირთული დაბრუნდა მგზავრობიდან და რომლის საწყობებიც სავსე იყო ყოველგვარი საქონლით, ვერ იგრძნობდა თავს ისე მდიდრად, როგორც მე, როდესაც კლდოვან ნაპირზე ვიპოვე გამორიყული სელაზი, რომელიც, ალბად, რამდენიმე დღის წინად მომკვდარიყო.

რადგანაც ვიცოდი, რომ სიმსუნაგეს ვერ აიტანდა ჩემი დასუსტებული კუჭი, ზომიერად ვჭამდი ხორცს. უფრო გემრიელი არაფერი უგემნია ჩემ პირს და, უნდა გამოვტყდე, კინაღამ ავტირდა ამოდენა ხორცის დანახვაზე, თუმცა ის უკვე ღებოდა.

4. სელაპების დახოცვა.

მეორე დღეს თავი სულ სხვა აღამიანად ვიგრძენი. მზე არ ამოსულა, მაგრამ ეს იმდენად არ მაწუხებდა. ვიყურებოდი და თვალებს ვერ ვუჯერებდი: მთელი კუნძული სავსე იყო სელაპებით. ათასობით ეყარენ ისინი კლდეებზე, სხვა კიდევ მრავალი წყალში ნავარდობდა. მათი ღრიალი აღამიანს გააყრუებდა.

დანახვისთანავე მოვისასზე, რომ ხორცი მრავლად იყო, — იმდენი, რომ ოცი ხომალდის მოსამსახურეებს ეყოფოდათ.

მაშინვე ნიჩაბს წამოვავლე ხელი — კუნძულზე სხვა ხე არ იყო — და ფრთხილად მივუახლოვდი საქმელის ამოდენა გროვას. ეტყობოდა, ცხოველებს აღამიანი ჯერ არ ენახათ. ისინი არავითარ შიშს არ გრძობდნენ და მათი დახოცვა ნიჩბის თავში დაკვრით, სრულიად უბრალო საქმე იყო. როდესაც მოკალი მესამე და მეოთხე სელაპი, თითქოს შე-

ვიშალო და განვაგრძობდი ხოცვას, სანამ ძალ-ღონე სრულიად არ გამომეღია. ვინ იცის, რამდენი ცხოველი დაიხოცებოდა, რომ ცოცხლები უცებ წყალში არ ჩაცვივნულიყვნენ.

ოთხი დღე ბეჯითად ვიმუშავე და შემეძლო მეამაყა, რომ ხორცის არცერთი ნაჭერი უბრალოდ არ დამიკარგავს. სულ 200 სელაპი იყო მოკლული.

ასეთი სიბეჯითე მეტად სასარგებლო იყო ჩემთვის და ჯანმრთელობაც ნელ-ნელა მიბრუნდებოდა, რადგანაც საჭმელი თავსაყარად მქონდა. შვიდი წლის განმავლობაში, რომელიც კუნძულზე დავყავი, თბილი მზიანი დღეები იმდენ ხანს, როგორც სელაპების დახოცვის დროს, არასოდეს არ გავრძელებულა. მშვენივრად ხმებოდა ტყავებიც და ხორციც.

გავიდა მრავალი თვე, სანამ სელაპები ისევ მოკურნდებოდნენ ჩემ კუნძულთან. მაგრამ აქ დროს განმავლობაში მე არ ვზარმაცობდი: ავაშენე ქვებისაგან სახლი და გვერდით საკუჭნაო—გამხმარი სელაპის ხორცისათვის. ქოხები გადავხურე სელაპას ტყავით, ისე რომ წყალი აღარ ჩამოდიოდა. და როდესაც წვიმა მრისხანედ ურახუნებდა ჩემს სახურავს, მე არასოდეს არ მაფიწყდებოდა, რომ წვიმისაგან მიფარავდა ქურქები, რომლებიც ლონდონის ბაზარზე ძვირად ფასობდა.

მე გადაწყვიტე, რომ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, როგორმე დღეების ანგარიში მეწარმოებია, წინააღმდეგ შემთხვევაში ამერეოდა თვეები და კვირები და დღეებსაც ერთი-მეორისაგან ვეღარ გავარჩევდი. შვიდი კენჭისაგან ქოხის გარეთ შევადგინე კვირეული კალენდარი, ნიჩბის ერთ მხარეზე გავაკეთე ნიშნები კვირეებისთვის და მეორეზე თვეებისთვის, არ დამეფიწყებია აგრეთვე დამატებითი დღეებიც.

5. ეგვიპტური შრომა.

პირდაპირ გასაოცარია, რამდენი შრომა იყო საჭირო უკიდურესი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სასმელ-საჭმლის და ბინის საკითხში. მართლაც, კუნძულზე ყოფნის პირველ წელს ძალიან იშვიათად ვიყავი დასვენებული. ჩემს ქოხს, რომელიც უფრო სიღრმის წარმოადგენდა ღორღებში, მაინც ექვსი კვირის შრომა დასჭირდა. სელაპის ტყავების ტანსაცმელისათვის გამოსადეგად დამუშავება, ფხეკა და ფრთხილად გაშრობა მრავალი თვეების განმავლობაში გრძელდებოდა.

ამას გარდა, საჭარბოროტო საკითხი იყო წყლის მოგროვება და შენახვა. ყოველი მძლავრი გრივალის შემდეგ ზღვის ტალღებისაგან გამოსროლილი

ნაშხეთი ავსებდა ნაპრალებს და მიფუჭებდა მოგროვილ წყალს, ისე რომ ჩემი მდგომარეობა ახალ წვიმამდე მეტად სამძიმო ხდებოდა.

გამუდმებული ხეხვა ქვებს შლის, მე ეს ვიცოდი. ამოვარჩიე ერთი მოზრდილი მაგარი ქვა და დავიწყე წვრილი ქვებით მისი ამოტეხა. ხუთი კვირის დაქინებითი მუშაობის შემდეგ გავაკეთე ქილის-მაგვარი ქურქელი, რომელშიაც ერთნახევარი გალონი*) წყალი ჩადიოდა. შემდგომ ამგვარადვე გავაკეთე კიდევ ოთხგალონისაგან ქილა, რასაც ცხრა კვირა დასჭირდა. დროგამოშვებით ვაკეთებდი აგრეთვე მცირე ქილებსაც. ერთი ქილა, რომელიც რვა გალონს მაინც ჩაიტევდა, გასკდა მას მერმე, რაც მასზე შვიდი კვირა ვიმუშავე.

მაგრამ მხოლოდ კუნძულზე ყოფნის მეოთხე წელს, როდესაც დავკარგე ყოველგვარი იმედი შინ დაბრუნებისა, გავაკეთე სამაგალითო ნაწარმოები. მის გაკეთებას მოვუწიე 8 თვე, მაგრამ გავაკეთე მტკიცე ქურქელი, რომელიც 30 გალონზე მეტ წყალს იტევდა.

ჩემი ქვის ქილები მეტად მახარებდნენ და ხანდახან ვამაყობდი კიდევც.

ნაპრალებიდან წყლის ამოსადებად და ქილებში ჩასახმელად გავაკეთე ქვის კვარტიანი ქურქელი. თუ ვიტყვი, რომ ეს პაწია ქურქელი 28 გირვანქამდე იწონიდა, ყველა წარმოიდგენთ, რამდენად სამძიმო იყო წყლის შეგროვებაც კი.

აი, ამრიგად ჩემი განმარტოებული ცხოვრება იმდენად მოვაწესრიგე, რამდენადაც კი შეიძლებოდა. მე ავიშენე უშიშარი და მყუდრო ბინა. რაც შეეხება საჭმელს, ყოველთვის მქონდა ექვსი თვის სათადარიგოდ შენახული ხორცი, დამარილებული და მზეზე გამხმარი.

თუმცა ჩემი მდგომარეობა მეტად სამწუხარო იყო, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავდი, რომ დაბოლოს გამოჩნდებოდა ვინმე მშველელი.

ხშირად მაწუხებდა უცეცხლობა და საშინლად მინდოდა შემწვარი ხორცი მეგემნა. ხშირად მაწუხებდა აგრეთვე უთუთუნობა. ამ შემთხვევებში ძილი ჩემთვის წვალეობა იყო, რადგანაც მესიზრებოდა, რომ მეკუთვნოდა თუთუნით სავსე გემები, პლანტაციები და სავსე საწყობები.

გონების განვითარება არაფრით შემეძლო, ამიტომ კუნძულის მოწესრიგებას შევუდექი. ოთხი თვე ოცდაათი ფუტის სიგძის და 12 ფუტის სიმაღლის კედელს ვაშენებდი. ეს კედელი იფარავდა ქოხს გრივალის დროს, როდესაც კუნძული ქარი-

*) გალონი უდრის 4 1/2 ლიტრას.



შხლის უზარმაზარ ხახაში მოქცეულ პაწია ჩიტს წააგავდა.

მესამე წელს დავიწყე ქვის სვეტის აშენება. უკეთ რომ ვთქვა, ეს ოთხკუთხი პირამიდა იყო, დასაწყისში ფართე და წვერში უფრო ვიწრო. მხოლოდ ასე შემეძლო მისი აშენება, რადგანაც კუნძულზე არ იყო ხეები და ხარაჩოების გაკეთება შეუძლებელი იყო.

პირამიდა მზად იყო მხოლოდ მეხუთე წელს. ის აღმართული იყო კუნძულის უმაღლეს ადგილზე, რომელიც ზღვის პირიდან 40 ფუტს უდრიდა, პირამიდის აშენებით კი მე ეს სიმაღლე გავაორკეცე.

ეს არ იყო ბაბილონის გოდოლი და ემსახურებოდა ორ მიზანს: ჯერ ერთი, რომ აქედან შემეძლო გემების დანახვა და მეორე—რომელიმე მწვლავურს შეეძლო დაენახა ის და აღმოეჩინა ჩემი კუნძული, როცა უზრუნველად ათვალიერებდა ზღვას. ეს აზრი ამხნევებდა ჩემს გულსა და სულს.

18 ივნისს, მეექვსე წელს, დავინახე იალქანი, მაგრამ გემი შორს იყო და ვერ შემაჩნევდა. გემის დანახვამ მასიამოვნა უფრო, ვიდრე მეწყინა: მისი დანახვა მარწმუნებდა, რომ ზღვის ამ ნაწილშიაც მოდიან ხანდახან გემები, რაშიაც წინად ეჭვი შემდრიოდა.

მეექვსე წელს, როცა დავრწმუნდი, რომ ამ მხარეშიც მოდიან გემები, დავიწყე ჩემს ნიჩაბზე თავგადასავალის ამოჭრა.

ვცდილობდი, ასოები წვრილად, მაგრამ გარკვევით ამომეჭრა. ზოგ დღეში მხოლოდ ხუთი ექვსი ასოს ამოჭრას ვახერხებდი, იმდენად მძიმე იყო ეს სამუშაო. და თუნდაც ვერასოდეს დავბრუნებულიყავ ჩემ ახლობლებთან ელქტონში, მაინც მსურდა აღმებეჭდა ნიჩაბზე ჩემი და ჩემი ამხანაგების საშინელი ზედი.

ამიერიდან ძალიან ვუფრთხილდებოდი ნიჩაბს და აღარ ვხმარობდი სელაპების დასახოცად. ამისათვის საგანგებოდ გავაკეთე ქვის კეტი.

6. საშინელი გრიგალი.

კუნძულზე ყოფნის მეექვსე წელს, მარტში, მე გადავიტანე უსაშინელესი გრიგალი, რომელიც კი შეეძლო ენახა ადამიანს. გრიგალი დაიწყო საღამოს 9 საათზე სამხრეთ-დასავლეთის ქარის გაძლიერებით და საშინელი შავი ღრუბლების მოახლოებით. 11 საათზე ქარი საშინელ გრიგალად იქცა, რომელსაც თან მოჰყვა ქარიშხალი ქუხილით და ელვით. მე მაშინებდა კუნძულის მდგომარეობა: უზარმაზარი ტალღები ეხეთქებოდნენ ყოველი მხრიდან და მხოლოდ ჩემი პირამიდის წვერი რჩე-

ბოდა შეუხებელი. მე თითქმის ვიღრჩობოდი ქარისა და ტალღების ამოსროლილ ნაშხეფისაგან, სიცოცხლის შენარჩუნება-კი უნდა მიმეწერა იმისათვის, რომ ავაშენე კედელი და პირამიდა და კუნძული ამრიგად ავამალღე. დილით კიდევ უფრო გამახარა ჩემმა წინდახედულობამ. დაგროვებული წყალი ერთიან გამლაშებულიყო, გარდა პატარა ჭურჭლისა, რომელიც პირამიდას იყო მოფარებული. ეს წყალი, თუ გამოვიზოგავდი, ახალ წვიმამდე მყოფოდა, თუნდაც მას დაჰგვიანებოდა.

ჩემი ბინა ტალღებმა გადარცხეს, სელაპის ხორციდან რაღაც გაპოურკვეველი ფაფა დარჩენილიყო. სამაგიეროდ დიდი სიამოვნება განვიცადე, როცა დავინახე, რომ კლდეები დაფარულია გამოჩეხული თევზებით, რომელიც ტალღებს გამოეყარა ნაპირზე.

თევზები გამოეწვლე და მზეზე გავაშრე, მაგრამ ეს სასიამოვნო შეცვლა საქმელისა ძვირად დამიჯდა: თევზი ბევრი ვჭამე და კინალამ მომკლა.

7. გადარჩენა.

მეშვიდე წლის დასასრულს, როდესაც შევიმუშავე გეგმა ჩემი პირამიდის 60 ფუტამდე ამაღლების შესახებ, დილით, გაღვიძებისას დავინახე იალქნებზამოშვებული ხომალდი, რომელიც იმდენად ახლო იყო, რომ შეიძლებოდა გამოძახება.

ჩემი დანახვა ადვილი იყო და, რომ ყურადღება მოექციათ, დავიწყე ნიჩაბის ქნევით კლდიდან კლდეზე ხტუნვა, სანამ არ შევამჩნიე, რომ გემბოლოზე მღგარი მატროსები მიყურებდნენ დურბინდით. ისინი რაღაცას მიპასუხებდნენ და კუნძულის დასავლეთ ნაწილზე მიჩვენებდნენ. მე მაშინვე იქეთ გავეშურე და დავინახე ნავი, რომელშიაც ექვსი მატროსი იჯდა.

შემდეგ მე გავიგე, რომ ხომალდმა შესცვალა გზი და კუნძულისაკენ გამოემართა, რადგანაც პირამიდას მათი ყურადღება მიეპყრო. დღევა იმდენად დიდი იყო, რომ ნავი ნაპირს ვერ უახლოვდებოდა.

მრავალი ცდის შემდეგ მანიშნეს, რომ უკან უნდა გაბრუნდნენ. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩემი სასოწარკვეთილება, როცა დავინახე, რომ ჩემს უდაბურს კუნძულზე უნდა დავრჩე.

მაშინ დავავლე ხელი ნიჩაბს და გადავხტი აქაფებულ ზღვაში. იმდენად ბედნიერი, ღონიერი და მარდი გამოვდექი, რომ, როგორც იქნა, ნავს მივადწიე.

თითქმის მთელი საათი მოეუწოდით ხომალდთან მისვლას, რადგანაც ის ტალღებს კუნძულიდან დაეშორებია. რვა გრძელი წლის განმავლობაში მოკლებული ვიყავი თამბაქოს. ამიტომ ვეღარ მოვიტინე და ვთხოვე ერთ მატროსს ცოტაოდენი საღებო თამბაქო. მან მაშინვე მომცა და მათხოვა აგრეთვე ვირგინიის საუცხოვო თუთუნით გავსებული ჩიბუხი. მაგრამ არ გასულა 10 წუთი და

საშინელი გულისრევა ამიტყდა. გასაგებია იმე: ჩემი ორგანიზმი გადაეჩვია თუთუნს და განვიცადე თუთუნით მოწამვლა, როგორც მოსდისთ ხოლმე ყმაწვილებს, რომლებიც წევას მხოლოდ იწყებენ. მაგრამ ამ წუთიდან აღარასოდეს მისარგებლია თუთუნით და არც როდისმე მომსვლია წვევის სურვილი.

ზ. გძელიშვილი.



წითელი ჯარის არსებობის შვიდი წელი.

ამა წლის 28 თებერვალს წითელმა ჯარმა თავის არსებობის შვიდი წლის თავი იღლესასწაულა. ეს დღე მთელი საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასისთვის საზეიმო დღეს წარმოადგენს, რადგანაც ჩვენი მუშურ-გლეხური ჯარი არის ოქტომბრის დიდი რევოლიუციის ღვიძლი შვილი და მის მონაპოვართა უერთგულესი დამცველი.

წითელი ჯარი კაცობრიობის ისტორიაში პირველი მუშურ-გლეხური ლაშქარია, რომელიც იცავს მშრომელთა და დაჩაგრულთა ინტერესებს.

როგორ შენდებოდა წითელი ჯარი?

მუშურ-გლეხური ჯარის შენება საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთათვის მეტად ძნელი საქმე იყო.

პირველ ყოვლისა, ყოველი მხრით მტრები გვერტყა გარს და არ გვაძლევდნ მოსვენებას, შედეგ მთელი მხარე განადგურებული, დაცემული იყო მეფის მიერ წარმოებული ომებით.

ყოველივე ამის გამო, წითელი ჯარი ირაზმებოდა არა ერთად, არამედ თანდათანობით, ორი წლის განმავლობაში (1917—1918 წ.), გააფრთხულ ბრძოლის პროცესში მემამულეების და მდიდრების კონტრ - რევოლიუციონურ მოქმედებათა წინააღმდეგ.

წითელ ჯარს დასაწყისი მისცეს ლენინგრადის, მოსკოვის და სხვა დიდი ქალაქების შვიარალეებულმა მუშათა რაზმებმა, რომლებიც დარაზმული იყვნ კომუნისტურ-ბოლშევიკურ პარტიის მოწოდებით 1917 წ. თებერვლის რევოლიუციისათანავე.

ოქტომბრის რევოლიუციაში წითელმა გვარდიამ (როგორც მას თავდაპირველად უწოდებდნ) უდიდესი როლი შეასრულა.

მუშათა და გლეხთა სისხლით მოპოებულ

თავისუფლების უშუალო დამცველი, როგორც ცენტრში, ისე გარეშე მტრებთან, წითელი გვარდია შეიქმნა. მას მოუხდა მძაფრ სიძნელეთა გადატანა იმ უთანასწორო ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებდა თავის კლასიურ მტრების წინააღმდეგ. მაგრამ გერმანელების და სხვა მტრების კარგ მოწყობილობის და სიმდიდრის გამო, მან ვერ შესძლო შესაფერისი წინააღმდეგობა გაეწია მათთვის.

გერმანიის ჯარებმა სწრაფად დაიკავეს საბჭოთა რესპუბლიკის საუკეთესო ადგილები (მაგ., ხარკოვი, მინსკი, რეველი და სხვ.)

საბჭოთა მუშურ-გლეხურ რესპუბლიკისათვის აუცილებელი იყო, შეეჩერებია გერმანელების შემდეგი წინსვლა და შეექმნა კარგად შვიარალეებული და მებრძოლი ჯარი.

აი, ამიტომ იყო, რომ საბჭოთა მთავრობა ლენინის წინადადებით დაეთანხმა გერმანელებს მძიმე საზავო პირობებზე კ. ბრესტში.

იშოვნა რა ამნაირად საბჭოთა მთავრობამ პატარა დასასვენებელი დრო, მთელი თავისი ძალა დასჭიმა იმისთვის, რომ წითელი არმია შეექმნა.

პირველი დეკრეტი რევოლიუციონერ ჯარის შექმნის შესახებ.

1918 წ. 23 თებერვალს გამოცემულ იქნა დეკრეტი წითელი ჯარის ორგანიზაციის შესახებ. ამ დეკრეტში განსაზღვრულ იყო ახლად შექმნილი მუშურ-გლეხური ჯარის ამოცანები:

„ძველი ჯარი წარმოადგენდა ბურჟუაზიის იარაღს მშრომელთა დასაჩაგრავად. ხელისუფლების მშრომელი ხალხისა და დაჩაგრული კლასის ხელში გადასვლით წარმოიშვა აუცილებლობა ახალი ჯარის შექმნისა, რომელიც უნდა განდეს საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდნობი საძირ-

კველი მომავალი სოციალისტური რევოლიუციისათვის“.

არ სძინავთ მუშების და გლეხების მტრებსაც: დენიკინს, კოლჩაკს, იუდენიჩს, ფრანგებს, ჩეხო-სლოვაკებს, პოლონელებს და სხვებს. ისინი ყოველი მხრით ვარს ერთკმთან საბჭოთა რესპუბლიკებს, ყოველ ქალაქზე და სოფელზე მოაქვთ იერიშები. მათი მიზანია გაანადგურონ მშრომელთა ბატონობა, მათი ხელისუფლება.

ბრძოლა იყო სასტიკი, ხანგრძლივი, მაგრამ მისგან ბრწყინვალე გამარჯვებული გამოვიდა წითელი ჯარი.



ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდა. რუსეთის მუშებს და გლეხებს დასვენების ხანა დაუდგათ.

ამ გამარჯვებაში დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის წითელ ჯარს.

დღეს შეიდი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების ღირსეული დამცველი წითელი ჯარი.

გაუმარჯოს მის მომავალს!

შ. შე-ლი.



23 თებერვალი მე-7 წელზე



ოქტომბრის ამაყ ძახილით მოდის წითელი ჯარი; — ხელში ელვარე მახვილით მტრებს გულს დაუსვა ჯვარი!...

მოდის და თან მოაქვს შვება მზისკენ ანადერები; დროშა ძირს არსად ეშვება, კომუნით ნამდერები!...

მზად არს თავგასაწირავად, — ყიფინით ჰლახავს სერებს; მზავრელნი ააყირავა, — და იცავს მცირე ერებს!...

აჰა, დაეწყნენ ქუჩებზე, მტკიცე ნაბიჯით ჰქრიან; მშრომელნი ლამაზ ურჩებზე ყვავილებს ლოცვით ჰყრიან!

ქალაქი ფაფარნაყარი სოფელს სალხენად იწვევს;

თავისუფლების მაცარი სიყვარულით შე იწვევს!...

ცა, ფირუზ თვალთა ციალით, ანცებს ესალბუნება; — გამარჯვებათა გრიალით ჰიმნს უგალობს ბუნება!

ძველ მსოფლიოზე შეტევით ეხლაც იცუცუნება; გაისმის მუსიკა, ძღვეით სამყარო იღუნება!...

ვიხაროთ ჩვენც მშრომელთ მცველზე, ვინც გვაშორა ტყვეობა. შექმნიდან მეშვიდე წელზე გადავუხადოთ ღღეობა!...

მოდინ, ვასაც რომ დაღლა არა სწამს ბრძოლის ველზე. — სმენა! და ქუდები მაღლა! გადავებვიოთ ყელზე!...



op. 62.

Tempo di marcia.
დაძწყობი.

„მეზარე“

სიტყვ. ი. ვაკელიძე.
მუს. ა. დარცხაიძის.

დაჭ-კა, დაჭ-კა, ცე-ცხლის ხე-ღი შე-მოჭ-კა-რი ზა - რებს,

tutti

1. დაჭ-კა, დაჭ-კა, ცე-ცხლის ხე-ღი შე-მოჭ-კა-რი ზა - რებს,
2. ლე-ღი, ლე-ღა, თ-ლე-ღი-ა, ლე-ღი თ-ლე-ღა!

1. დაჭკა, დაჭკა, ცეცხლის ხელი
შემოჭკარი ზარებს,
ძლიერი ხმა მოგუგუნე
მწამს, მტრებს შეაზარებს.

2. შეაზარებს ძველ ქვეყანას,
ძველ ადათს, ძველ რწმენას,
ცეცხლის ისრით ჩაჰკლავს გულში
უხალისო თმენას.

3. დაჰკარ გრძნობით ანთებული,
დაჰკარ გრძნობით მეთქი,
ვით გრივალი, ბრაზით სავესე,
კლდიდან მონახეთქი.

4. ზღვა ბობოქრობს, ზვირთი ზვირთს სცემს,
ტალღა ებრძვის ტალღებს,
ქარიშხალი ხან სუსტად სტვენს,
ხან ხმას აღიმალღებს.

5. შენც, მეზარევე, გადასძახე
სიტყვა მტკიცე რწმენით,
ბრძოლის ცეცხლი გვაგრძნობინე
ზარის ბოხი ენით.

6. გვაგრძნობინე გულის დარდი,
სულის სიხალისე,
რომ შევიღებოთ მომავლის
ჩვენც ავენთოთ მყისვე!..

ი. ვაკელი.

თეზერკალი

იმ დროს დაჰბერა ლაშქარმა ძლივის
და გაღმობტება მონობის ზღუდღე.
სულ შეარყია მტერთა ბანაკი,
მიფუშ-მოფუშა ბნელეთის ბუდღე.

გამართლდა მაშინ მუშის წადილი,
როს იგრილა მძლე ზარბაზანმა,
დახიეს ძველი ლეჩაქ-მანდილი,
შემოჰკრა მედგარად მუშების ზარმა.


ამ დროს აფეთქდა მშრომელი მასა,
ცეცხლით გადასწვეს ძველი მონობა.

ვისლა ახსოვდა იმათი გმინვა?
ახალ ჰანგებზე იწყეს გალობა.

და თებერვალმა მოუღო ბოლო,
გააცამტვერა იმათი კერა,
და ვაიტანეს მუშებმა ლელო,
ახალ ქვეყნისკენ დაიწყეს მზერა.

ხელში ჩაიგდეს თავისუფლება,
ტრიუმფით შეხვდენ ახალ თაობას...
აყვავდა უკვე და იფურჩქნება...
დღეს აღარ არის სხვადასხვაობა!

ალექსანდრე შანიძე.





ა კ ა კ ი

ათი წელია, რაც აკაკი
 გარდაიცვალა,
 ათი წელია, რაც აღარ ედერს
 იმისი ჩანგი!
 ამაყ მთაწმინდას სამუდამოდ
 შეჰკედლებია
 და მალღობიდან გაღმოსვურებს
 ქალარა ტფილისს.
 ორმოცდაათ წელს იმსახურა მან
 უანგაროდ,
 ორმოცდაათ წელს ამათრახა
 უსამართლობა,
 ორმოცდაათ წელს სიბრაზის დორბლს
 აყრიდენ იმას,
 ის კი იბრძოდა შეუპოვრად
 და შეუდრეკლად.

* *
 დიდი, პატარა, მუშა, გლეხი, —
 მას ყველა იცნობს!
 არ არის კუთხე, თუნდ ძლიერ ყრუ,
 საქართველოში,
 რომ არ იცნობდენ მას, მომცინარს,
 მას, ტკბილ აკაკას!
 პაწაწა ბალღი სკამზე მდგომი
 ამბობს მის ლექსებს,
 და ირკვლივ მყოფებს დასთამაშებს
 სიამის ღიმი...
 გიტარის სიმებს ბრძოლის თითებს ახებს
 ქალწული
 და მინაზებით ზედ დაჰვალობს
 აკაკის სიტყვებს...
 მოხუცებული ძლივს, ჩიფჩიფით,
 კბილჩაცვივნიული
 ჭკუის სასწავლოდ ეუბნება მის
 აფორიზმებს
 ახალგაზრდობას, — და ისინიც სულგანაბულნი
 უსმენენ იმას...

* *
 „თუ არ სიკვდილით... სიცოცხლით
 ვერვინ შემისწლის, ბოდვასა

და გამოვიტან საქვეყნოდ
 დაფარულ მადლს და ცოდვასა“.
 — ამბობდა იგი — და ჰზარავდა ბოროტის
 მსახურთ,
 „ბოდავდა“ იგი — და სინათლის სხივს აშუქებდა
 ბნელის სამყაროს!...

* *
 დუხჭირი იყო, ეკლიანი,
 მისი ცხრვრება.
 ვაი-ვაგლახი ათასგვარი ვადხნდა
 იმას:



აკაკის მოგზაურობა ღმრისუფში.
 არ მოუშალეს კბილით ხრქენა და
 გესლის ნთხევანი,
 ვისაც კი მისი მწარე ენა
 ამათრახებდა.



მაგრამ მგოსანი ჩაგრულების გულთ
გადაება,
მან ხალხის გულში სამარადლო
დაიდგა ძველი.

იქ, „საფანეში“, გლახთა შორის
შეიგნო იმან
გლების ვარაში, სიღუბჭირე,
დაჩაგრულობა,
და გადასწყვეტა, იმათ გვერდში
ამოდგომოდა,
გამოენახა მათი წყლოლის
საღბუნ-მალამო!

იბრძოდა მედგრად, გამეხებით,
გულს არ იტებდა.

„არა! აყვავდეს იმედი!...
გულს ვერ გამიტებს ქალარა!..
გმირებს უძახის... უყივის
ჩემი დაფი და ნალარა!..

— გაიძახოდა და გმირთ ბრძოლად მოუწოდებდა.

* * *

ღუბჭირი იყო დრო წარსული,
დრო დათრგუნვილი,

ქანდაკმერის ხარხარის და
მშრომელთ გლოვის დრო!
მაშინ სუყველგან ფუსფუსებდენ
გველნი, ბაყაყნი,
თავისუფლების ნაზ ყვავილებს
შხამავდენ მწარედ!

ჩვენი მგოსანი გაჰკიოდა გაშმაგებული:

„მხარი მხარს მივკეთ, ხელი ხელს,
ნესტან დარეჯან ქაჯებს ჰყავს,
მოელის ტურფა გამოამხსნელს“.
ლიმით ამბობდა:
„დე, დაზამთრდეს, სუსხვა დაგვეკრას,
ქარიშხალმაც გვბეროს ველით,
ზამთარი ვერ შეგვაშინებს,
თუ გაზაფხულს კი მოველით!“

გრძნობდა გაზაფხულს, იცოდა იგი რომ
მოვიდოდა!

იგი ხედავდა მტარვალთა თარეშს,
და ხალხის კენესა მას აგიჟებდა...
მუდამ ამბობდა ურყევი რწმენით:
„არ მომკვდარა“, „მხოლოდ სძინავს“.
სურდა: ეხილა მსხვერულ-მტვრეული
სამეფო ტახტი ძირგამომპალი!
ამას ეტრფოდა... ბედმა უწყალომ კი
არ ინება...

და ვერ შეესწრო, რაც დღე და ღამ
ელანდებოდა!..

„ეს გული სარკად ქვეული
ბუნების ნათავხედია:
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებსთ,
რასაც შიგ ჩაუხედა“.

— ამბობდა ის და, ვით რეალისტი,
ცხოვრების სურათს თვალწინ გვიშლიდა.

* * *

ა, ძველი სკოლა:

ტანჯული ბავშნი.
„ცოდვის ფირფიტა“.
ყურების გლეჯა.
„ლინეიკისა“ პირით გადაკვრა.
ქართულად სიტყვის თქმისაც აკრძალვა.
კუთხე.
დაჩოქვით პასუხის ძლევა.

საუზმის ქამის დაუშვებლობა.

ურთ-ერთ ბეზღება.

„პედაგოგები“, მოფიქრებას რომ არ აცლიდენ
თავის მოწათფეთ

და დაფაზე უხეთქდენ თავებს.

„როზგი“... და ბევრიც სხვა
სიკეთე-მარგალიტები!..

*

„რას მიქვიან პირადი მწუხარება?
მოკვდეს კაცი, თუ პირუტყვის ედარება!“

— გაიძახოდა— და სხვის ტანჯვით სტკიოდა
გული!..

...დე დამემდურონ— ფიქრობდა იგი—

„მე ჩონგური მისთვის მინდა,
რომ სიმაბთლეს მსახურებდეს“.

კიდევ ამბობდა — უსამართლო სამართლის
ხალხზე:

„მათი უძღვები გული
და შებლაღული სული
მუდამ ამას გაჰკივის:

„ფული, ფული და ფული“

* * *

მან ყოველ კუნჭულს ახადა ფარდა,
გვაჩვენა ჩვენი აბლაბუდა

და ობობები,

როგორც სანთელი ის იწვოდა

და დაღნა კიდევ,

ხელიდან კი არ გაუვლია

კალამი მჭრელი!

ძლიერ ბევრ ჩაგრულს შეუხოცა

ქმუნვის ცრემლები,

ძლიერ ბევრ მზავრელს გულს აძგერა

ისარი ბასრი!

ვით მთის მდინარე, ის უფოთავდა

აქაფებული,

ეხლა კი მშვიდად განისვენებს

ჩვენს მთაწმინდაზე.

ის მეცხრამეტე საუკუნის ქართულ

მწერლობას,

ჩვენს პოეზიას მოველინა



ჯადოსან მკურნალ,
 და ჩვენი ენა გაამსუბუქე-გაასპეტაკა,
 ლექსი ნარნარი მოგვცა ტკობად,
 გზის მაჩვენებლად.
 მან ოთხ სიტყვაში გამოხატა
 სიმშვენიერე
 სივრცით პატარა, მაგრამ მდიდარ
 საქართველოსი:
 — „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“
 — და მთლად დახატა საქართველო
 ვარდ-ყვავილების,
 ცხოველი მზისა, ლურჯი ცისა
 და პოეზიის...

 მას უცნაური მუდამ ღიმი
 დასთამაშებდა.
 ვერ ჩაუვლიდით გვერდს, რომ თვალნი

არ მიეზიდა.
 აწ აღარა გვეყავს... ათი წელი
 უკვე გავიდა...

 საბრალოდ გვიმზერს სულმნათ მგონის
 სადა სამარე,
 აგურებიც კი დამტყრეულა...
 ნაზი ალერსით
 გადაუქროლებს იმათ თავზე
 ნიაფი მწუხრის.
 ოპერის ბალით კი ლალად და ამაყად გვიმზერს
 მზიურ სამშობლოს ენერგიით აღსავსე შვილი
 და სიხალისეს, ენერგიას
 გვმატებს ცივი ქვა,
 და ჩვენ ყველას გვწამს: არ მომკვდარა
 ჩვენი აკაკი!

შ. თაბუკაშვილი.

ამ დღიდან მან მთელი სიცოცხლე, მთელი
 თავისი ახალგაზრდობა შესწირა კეთილი მომავლი-
 სთვის ბრძოლას.



დათიკომ არ იცოდა, რა იყო პირადი ცხოვ-
 რება. მთელი თავისი აზრი და ახალგაზრდული გრძნო-
 ბა რევოლიუციის სამსხვერპლოზე დასდო.

იგი იყო უშიშარი და ნამდვილი გამირი ბრძო-
 ლაში: როცა იგი დაიჭირეს და დახრჩობას ემუ-
 ქრებოდნენ, იგი არ მოტეხილა. სიცოცხლის ჩუ-
 ქებას ჰპირდებოდნენ, თუ გასტყდებოდა და ეტყო-
 და, თუ ვინ მისცა და სად მიჰქონდა პროკლამა-
 ციები, მაგრამ მან უპასუხა: „თქვენ შეგიძლიათ
 ეხლავ დაჯანჯოთ, მაგრამ პასუხს ამაოდ ელითო“.

გასაბჭოებაზე დათიკო არაღეგალურად ხელ-
 მძღვანელობს ჩვენს ორგანიზაციას, მაგრამ გასა-
 ბჭოების შემდეგაც ერთგულად ემსახურება მას და
 საქართველოს კომკავშირის ლეგალურ პირობებშია
 უჩვენებს მაგალითს, აუ როგორი უნდა იყოს კომ-
 კავშირელი.

დათიკო კაჭარავას გარდაცვალებაზე

საქართველოს სახელოვან კომკავშირის მტკიცე
 ენერგიით აღსავსე და ბრძოლის ენით გაქდენ-
 თილი ბევრი მუშაკი აღუზრდია.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველოში შო-
 ვინიზმი იყო გამეფებული მენშევიკურ ხელისუფ-
 ლების სახით, ჩვენს ახალგაზრდულ არაღეგალურ
 ორგანიზაციაში კომკავშირის სხვა ბელადებთან
 ერთად ჩვენი დათიკო კაჭარავა თვალსაჩინო ფი-
 გურა იყო.

დათიკოსთვის სხვა არაფერი არსებობდა, გარ-
 და ბრძოლისა პროლეტარულ რევოლიუციისათვის.
 1917 წლიდან იგი აქტიურად იყო ჩაბმული
 რევოლიუციონურ მოძრაობაში.


დათიკოს ახასიათებდა უმთავრესი აუცილებე-
 ლი მხარე, რომელიც უნდა ჰქონდეს ყველა პრაქ-
 ტიკულ მუშაკს. ესაა სინამდვილის წმინდა კომუ-
 ნისტური, ცოცხალი გაგება.

მას არ უყვარდა გაზეპირებულ ფორმულებით
 საქმესთან მისვლა და როგორც ჭეშმარიტი აქტი-
 ვისტი—ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით—ყო-
 ველთვის იყო საკუთარი ინიციატივის, საკუთარი კო-
 მუნისტური გაგების მატარებელი.

ყოველი ახალგაზრდისთვის, რომელსაც კი
 სურს, იყოს ნამდვილი შვილი მშრომელი ხალხისა,
 ამხ. დათიკო კაჭარავას ხსოვნა მაგალითის მიმცემი
 და ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს.

ასე გვანსოვდეს ყოველთვის კომკავშირის ჩვე-
 ნი ბელადების მაგალითი.

ბიჭიკო.



გადანატრუსი ალიან სუნთქვით ხრიოკი მთები.
 ანაბოლები მღვრიე ბურთები ორთქლიან გზაზე.
 ტან-დანაყუდი მადანის ხროვის პირამიდები
 და ჩქერი შავი ჰყოფს განამურს ქალაქს შუაზე.

და როს აისი ანათდება მთების გადაღმა,
 ღმუილი ქაჩხნის აიშლება ხმების სვეტებად.
 როგორ გაუძლოს ბრაზიან ყეფას ლითონის თაღმა,
 რომ არ გაგიჟდეს და არ აფრინდეს მზის ნაკვესებად.

გააპობს სივრცეს, შეცურდება ექოს ღრიალით
 და რკინის მუნჯ თქმას გადასტამბავს ცის ლურჯ დაბაზე
 ყველას, რომ ესპას გულის თქმა მისი, ალურ-ტრიალით
 გადაეველება ანაფრენ ხმას გაშლილ ფაფარზე.

და მოედება მაზუთის რასა განამურ ველებს
 მკერდგანადელი ფოლადის მრღვევად განამზადები,
 როს მილის პირი კვლავ მოწოდების ხმას დაახველებს,
 ავრავანდება მძლე წერაქვებით მადნის ზოდები.


წყებო რონოდის დაეკლავება შავ ლიანდაკებს
 ჩქერ-ჩქარეულად ანაკადდება მძივე ტვირთები,
 რელსზე ალერსით ბორბლების ცეკვა დენას განაგებს
 და აიშლება მათ ნაკვალევზე კვამლას ზვირთები.

როს ცა დათვრება კვამლის ბურთების პრაზიან ყლაპვით
 მზე განელდება განამზადა რკინის საღუნად,
 გადმოენთება ვერტიკალები მგუდავ ღვართქაფით
 და დაეშვება სხივების კონა შვადლის ტრიბუნად.

ქანგიან კუნთებს აელვარებს ფერფლი მადანის,
 ნაოქ სახეზე ოფლი ჰპოულობს დენის კალაპოტს,
 მალაროელი წუთით ისვენებს, მწველი სატანის
 და გულმოდგინედ ათვალაიერებს მადანის ნაფოტს.

გადანატრუსი საყვირის ყეფათ ხრიოკი მთები
 ანაბოლები კვამლის ბურთები შვადლიან გზაზე.
 ტან-დანაყუდი მადანის ხროვის პირამიდები
 და ჩქერი შავი ჰყოფს განამურს ქალაქს შუაზე.

გ. გოგიაშვილი.



ჰაერის დამორჩილება

ყველას გაუგონია „იუნკერსი“, რომლითაც დააქვთ სასწრაფო ფოსტა და მიჰყავთ მგზავრები. დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში მოწყობილია მრავალი და მუდმივი სამგზავრო საჰაერო რეისები.

ავიაცია ანუ ჰაერფრენოსნობა გასაოცარი სისწრაფით ვითარდება.

სულ ოცი წელიწადია, რაც პირველი ჰაერობლანი აშენდა და არც ისე შორს არი დრო, როდესაც ჰაერში ფრენა ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა იქნება, როგორც არის გემით ან ველოსიპედით მგზავრობა.


როგორ მოახერხა ადამიანმა ფრინველივით თავისუფლად ფრენა ჰაერში?

ადამიანები მუდამ დაუინებით მიისწრაფოდნ ჰაერის დამორჩილებასაკენ.

ბევრი გახდა ამ მისწრაფების მსხვერპლი. მაგრამ ეს მსხვერპლი უნაყოფოდ არ დარჩენილა: ჰაერის დამორჩილების მიზანი მიღწეულია.

როგორც ყოველივე დიდი მეცნიერული აღმოჩენა, ჰაერფრენოსნობაც ეკუთვნის სხვადასხვა პირებს, რომლებიც სრულიად სხვადასხვა დროს და ადგილს ცხოვრობდნ და მუშაობდნ.

ერთი ჰაერში მფრენი რომ ჩამოვარდებოდა და მოკვდებოდა, მეორე მაინც განაგრძობდა ამ საქმეს... გროვდებოდა გამოცდილება, სწორდებოდა შეცდომები და ბოლოს ისეთი აპარატი იქნა გამოგონილი, რომელიც თუშკა ჰაერზე მძიმეა, მაინც



12-ადგილიანი ჰაერობლანი „იუნკერი“


თავისუფლად მიფრინავს იქით, საითკენაც მოისურვებს მისი მპართველი მესაქე ავიატორი, დაფრინავს სწრაფად და თითქოს არაფრად აგდებს არც ქარს და არც ამინდს.

უძველესი დროის თქმულებანი და გადმოცემები გვარწმუნებენ, რომ ფრენის შესაძლებლობაზე

ადამიანი შორეულ წარსულშიაც ფიქრობდა. აი, მაგალითად, რას ამბობს ძველი ბერძნული გადმოცემა:

მძერწავი დედალი ათინიდან კუნძულ კრიტოსზე იყო განდევნილი.

დედალს ძალიან უნდოდა კუნძულიდან გაქ-



ცევა, მაგრამ ყველა ხომალდები და ნაეები მეფეს ეკუთვნოდა.



დედალს მხოლოდ ჰაერით გაფრენა და რჩენოდა.

ის ასეც მოიქცა. შეაკვია ფრინველების ბუმბული, შეაკავშირა ერთმანეთთან სანთლით და გააკეთა ფრთები თავისთვის და თავისი შვილი იკარისათვის. ორივე გაფრინდნენ. ცნობისმოყვარე იკარი ძალიან მალე აფრინდა, და მზემ სანთელი გაუდნო, ის ზღვაში ჩავარდა და დაიღრჩო, დედალმა კი ნშვიდობიანად მიადწია იტალიას.

ამ თქმულების გარდა ბევრი სხვაც მოგვითხრობს ჰაერში ფრენის ცდების შესახებ.

მართლა იყო ასეთი ცდები თუ არა, ამას არც იმდენი მნიშვნელობა აქვს. საყურადღებოა მხოლოდ, რომ ადამიანი მუდამ ფიქრობდა, თუ როგორ დაე. მორჩილება ჰაერი და ფრინველივით ენავარდა.

სერიოზულად მუშაობდა ამავ საკითხზე ცნობილი იტალიელი მხატვარი და მეცნიერი ლეონარდო და-ვანჩი.



პირველი მონგოლფაერი.

ის დიდხანს გულმოდგინედ აკვირდებოდა და სწავლობდა ფრინველების ფრენას და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საფრენ აპარატს ხრახნი უნდა ჰქონებოდა, მაგრამ თვით მანქანის აშენება კი ვერ მოახერხა.

პირველი ნაბიჯი ჰაერის ოკეანეს დასამორჩილებლად ადამიანმა ბევრად უფრო გვიან გადადგა და ისიც არა ჰაერზე უფრო მძიმე მანქანით, არამედ ჰაერზე უფრო მსუბუქი კვამლით გავსებული ბურთით.

ეს მოხდა 1783 წელს საფრანგეთში.

ქალაქ ანონაში, ლიონის მახლობლად, ცხოვრობდნენ ძმები ეტაენი და ჟოზეფი მონგოლფაე.

საფრენი ბურთის გაკეთების აზრი მოუვიდა ჟოზეფ მონგოლფაეს, როცა დააკვირდა, თუ როგორ სწრაფად ადიოდა ზეცისაკენ კოცონის კვამლი და გახურებული ჰაერი.

მან შეჰკერა მტკიცე ქსოვილისაგან კუბის მსგავსი ტომარა და ქვეშ ცეცხლი შეუქნო...

კვამლით გაბერილი ტომარა ჭერამდე აფრინდა.

ამის შემდეგ ძმები აკეთებდნენ მრავალ ცდას, მაგრამ საიღუმლოდ.

შემთხვევით მეზობლებმა გაიგეს, ძმები მონგოლფაე გაფრენას აპირებენო.

ძმები მონგოლფაე იძულებული გახდნენ თავისი გამოკონება ეჩვენებიათ.

ეს იყო 1783 წლის 5 ივნისს. მრავალი ხალხი შეკრებილიყო. ძმებმა გამოიტანეს ქალღმერთის ტილოსაგან გაკეთებული უზარმაზარი ბურთი.

ბურთის ქვემო ნაწილი ღიად იყო დატოვებული და ხის ჩარჩო ჰქონდა გაკეთებული. ბურთი 200 კილოგრამს იწონიდა.

შეკრებილ ხალხს არ სჯეროდა, რომ ამოდენა ბურთი ღრუბლებამდე აფრინდებოდა.

ბურთის ქვეშ ცეცხლი გააჩაღეს ქალღმერთისა და სველი ნახერხისაგან.

ბურთი ნელ-ნელა ივსებოდა.

როცა ის იმდენად გაივსო, რომ დიამეტრით 16 მეტრს უდრიდა, მას ძლივს-და ამავრდნენ. მაშინ მონგოლფაემ ვასცა განკარგულება, რომ ბურთი გაეშვათ.

ბურთი 1800 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა და ათი წუთის შემდეგ ჩამოეშვა.

ყველა განცვიფრებული დარჩა.

ეს ამბავი პარიზის მეცნიერებათა აკადემიასაცნობეს, რომელმაც ძმებს ჯილდო მისცა.

ძმები მონგოლფაე თავისი ნაშრომის გაუმჯობესებას შეუდგნენ.

ბურთის აფრენის ნახვა მალე საფრანგეთის მეფემაც მოისურვა.

1783 წლის 19 ენკენისთვის ბურთის აშვება ეოხდა ვერსალში.

ბურთს მიაბეს კალათი, რომელშიაც მოათავსეს „მგზავრები“: ცხვარი, მამალი და იხვი.



ცდა საუცხოვოდ ჩაიარა. ბურთი აფრინდა და ჩამოეშვა ვერსალიდან ოთხ კილომეტრზე. აშვებას დაესწრო, სხვათა შორის, ვინმე პილატრ დე როზიე, რომელმაც პირველმა მიიღბინა ჩამოშვებულ ბურთთან და რომელიც შემდგომ თვითონ გახდა ჰაერში ფრენისობის მსხვერპლი.

პილატრ დე როზიემ მოისურვა მონგოლფეს ბურთით აფრენა და მეცნიერებათა აკადემიას მისცა სათანადო განცხადება.

მეფემ პირველად ნება არ დართო, მაგრამ პილატრ დე როზიეს დაჟინებითი თხოვნის შემდეგ დასთანხმდა.

ადამიანის პირველი აფრენა მოხდა 1783 წლის 21 ნოემბერს პარიზში.

გაფრინდნენ პილატრ დე როზიე, და მისი მეგობარი მარკიზი ლარლანდი.

ბურთი კარგად აფრინდა, მაგრამ ჰაერში კინალამ უბედურება შეემთხვათ: რომ ბურთში ჰაერი არ გაცივებულიყო, ნავში, ბურთის ღია პირის ქვემოთ, ანთებული მანგალი იდგა.

მანგალიდან ცეცხლი წაეკიდა ნავს და ჩაქრობა ძლივს მოახერხეს.

აფრინდნენ 1000 მეტრის სიმაღლეზე და ნახევარი საათის შემდეგ ჩამოეშვნენ პარიზის მიდამოებში.

ასე მოხდა ადამიანის პირველი თავისუფალი ფრენა, რაზედაც საგანგებო ოქმი შეადგინეს. სხვათა შორის, ოქმის ხელის წამწერთა შორის იყო სახელგანთქპული ბენიამინ ფრანკლინი, რომელსაც ჰკათხეს, რა სარგებლობა უნდა მოიტანოს ბურთების გაფრენამო, და ძან უპასუჲა, — რა სარგებლობა უნდა მოიტანოს ახალდაბადებულმა ბავშვმაო.

მონგოლფეს და პილატრ-დე-როზიეს სახელები, როგორც ფრენისობის პირველი პაონერების, მალე მთელმა ქვეყნიერებამ გაიცნო.

ძმ. მონგოლფეს სასახელი აღსაპერო ბურთები რომლებიც ცხელი ჰაერით იბერება, „**მონგოლფეერის**“ სახელწოდებას ატარებს.

მონგოლფეის გამოგონილ ბურთებს, როგორც ყოველ პირველ ცდას, ბევრი ნაკლი ჰქონდა და მასზე ფრენისობა სახიფათო იყო, მაგრამ ის იყო ჰაერის დამორჩილების პირველი მებრძოლი.

მას მოჰყვა მთელი არპია. ჯერ კიდევ პილატრ-დე-როზიეს აფრენამდე, ფრანგმა ფიზიკოსმა **შარლმა** დაიწყო მუშაობა ბურთების გაუმჯობესებაზე.

შარლმა ბურთების წყალბადით (გაზი, რომელიც ცხელ ჰაერზე უფრო მსუბუქია) გავსება და-

იწყო, თვით ბურთს კი რეზინიანი აბრეშუმის ქსოვილით აკეთებდა.

ბურთის მოწყობაში შარლმა ბევრი გაუმჯობესება შეიტანა, რის წყალობითაც აფრენა-ჩამოშვების მოწესრიგება შეიძლებოდა.

თითქმის ყველა უმთავრესი ნაწილები თანამედროვე ბურთებისა შარლის გამოგონილია. მის პატივსაცემლად ბურთებს, რომლებიც გაზით ივსება, „**შარლიერების**“ სახელწოდება მიაკუთვნეს.

მაგრამ, ცხადია, როგორც მონგოლფეს ბურთები, ისე შარლის ბურთებიც, ქარის სათამაშოები იყვნენ.

ადამიანმა ამ ბოლო ხანებში ისწავლა ფრენა ბურთით, რომელსაც ქარის წინააღმდეგაც შეეძლო ფრენა.

მონგოლფეს გამოგონებათა წყალობით დაიწყო ჰაერში ფრენის განვითარება; უკვე 1865 წელს ბლანშარი ამერიკელ ექიმ ჟეფრისთან ერთად გადაფრინდა სრუტე ლაპან შხე ინგლისიდან საფრანგეთში და ქალაქ კალესთან დაეშვა.

მალე ამის შემდეგ საფრანგეთიდან ინგლისში გადაფრინდა ჩვენთვის უკვე ცნობილი პილატრ დე-როზიე; მას მგზავრიც ჰყავდა — რომენი.

ბურთი, რომლითაც ისინი გადაფრინდნენ, განსაკუთრებული მოწყობილობის იყო.

პილატრ-დე-როზიემ შეაერთა მონგოლფეერი შარლიერთან (გავსებულით აღვილად ამაფეთქებელი წყალბადით), მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები აფრთხილებდნენ ასეთ ბურთებით გაფრენისაგან.

პილატრ-დე-როზიე მართლაც დაიღუპა მგზავრთან ერთად.


ისინი იყვნენ ჰაერის დამორჩილების პირველი მსხვერპლი.

ამ მსხვერპლს, რასაკვირველია, არ შეუჩერებია ფრენის გაუმჯობესების საქმე.

დაიწყო ფრენა ხალხის გასართობად. მეცნიერებმა დაიწყეს მალე აფრენა ატმოსფერის ზემოფენის შესასწავლად. ბოლოს ბურთების გამოყენება დაიწყეს სამხედრო მიზნებისათვის. გაიზარდა მსხვერპლთა რიცხვიც. მაგრამ უფრო და უფრო დიდის დაჟინებით განაგრძობდა ადამიანი ზეცის გარემოცვას.

დაიწყეს ცდა, დაემორჩილებიათ ბურთები თავისი ნებისთვის, რომ მას აღარ ეფრინა ქარის სურვილისა და მიმართულებისამებრ. დიდხანს და დაჟინებით მუშაობდნენ ამაზე ადამიანები, მაგრამ მხოლოდ მე-XX საუკუნეში მიაღწიეს საჭირო შედეგს.

ჯერ კიდევ მე-XVIII საუკუნეში მუშაობდა ამ საკითხის გამოსარკვევად ფრანგი მენაჲე, რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართან უფრო აღვი-



ლად შესაბრძოლებლად საპაერო ხომალდები უნდა კეთდებოდეს არა ბურთის, არამედ თითისტარის მსგავსი.

მოძრაობის მოსაწყესრიგებლად ის ურჩევდა ჯერ ნიჩბებს და მერმე კი ხრახნს. ასეთივე დასკვნამდე (თითისტარისმაგვარი ფორმა და ხრახნი) მოვიდნენ სხვებიც.

მაგრამ არ იყო მსუბუქი და ძლიერი მამოძრავებელი, რომ ხრახნი აებრუნებია. პირველი ჰაერის ხომალდის გაკეთება, რომლის მართვაც შესაძლებელი იყო, მხოლოდ მე-XX საუკუნეში მიხერხდა.

პირველად ეს მოაწყო ფრანგმა ინჟინერმა ჟიფუარმა, რომელმაც, როგორც მამოძრავებელი ძალა, ორთქლის პატარა მანქანა დადგა.

მისი ღირებულება (ასე უწოდეს ისეთ ჰაერის ხომალდებს, რომლებიც ჰაერზე მსუბუქია) თუმცა ფრენდა ადამიანის სურვილისამებრ, მაგრამ ქარის წინააღმდეგობა მაინც არ შეეძლო.

სცადეს ღირებულზე ელექტრონის მამოძრავებელის დადგმა, მაგრამ არც ამას მოჰყვა სახიერო შედეგი.


ღირებულების მამოძრავებელის საკითხი გამოიკვეთა ავტომობილების გამოგონებით.

ბენზინის მამოძრავებელი ავტომობილიდან იქმნა გადატანილი ღირებულზე—და მაშინ ღირებულმა შეიძინა ის, რაც მანამდე აკლდა ქართან შესაბრძოლებლად.

მაგრამ პირველი ცდა მაინც უნაყოფო გამოდგა.

გერმანელი ფელფეტი, რომელმაც მოაწყო ღირებული ასეთი მოტორით, თავისი ღირებულით დაიღუპა ერთი აფეთქებისაგან 1897 წელს, მაგრამ უკვე 6 წლის შემდეგ ბრაზილელი სანტოს-დელუზანი დაფრინავდა პარიზზე ქარის გასწვრივ და ქარის წინააღმდეგაც, და ადვილად მრთავდა თავის ღირებულს.

აწვე დროს გერმანიაში თავის უზარმაზარ



ზღვის ცეხელინი.

ღირებულზე მუშაობდა გრაფი ცეხელინი. რომლის მუშაობის თავისებურობას შეადგენდა ის, რომ ღირებულებისათვის ალიუპინის მაგარ ბუდეს ხმარობდა.

ამრიგად ჰაერის სტიქიონი საბოლოოდ იქნა დამორჩილებული.

ადამიანს უკვე შეეძლო მასზე ცურვა ჰაერის ხომალდით, რომელსაც მართავდა ისე, როგორც გემს ზღვაში.

1919 წელს ინგლისის ღირებული R 34 გადაფრინდა ატლანტიურ ოკეანეზე ამერიკაში და გზა—5800 კილომეტრი—108 საათში გაიარა.

ადამიანის დაქინებული მისწრაფება ჰაერის დასამორჩილებლად გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ადამიანთა მსხვერპლი, რომელიც შეეწირა ჰაერის ოკეანეს, უნაყოფოდ არ დაკარგა.

მონგოლფაგებიდან დაწყებული, ადამიანის აზრი ბურთების გაუმჯობესებისაკენ იყო მიმართული, უმთავრესად კი მათს ისეთ ხომალდებად—ღირებულად გადაქცევის ცდილობდნენ, რომელთა მართვაც შესაძლებელი იქნებოდა.

ვითარდებოდა ჰაერნაოსნობა (აერონავტიკა), ე. ი. ჰაერზე მსუბუქ აპარატებზე ფრენა.

მაგრამ ამასთანავე ერთად ადამიანი მუდამ ხედავდა ჰაერზე უფრო მძიმე ფრინველების ფრენას.

ამიტომ შეუძლებელი იყო ადამიანის აზრი მიმართულიყო აქეთკენ.

ისევ გაახსენეს დავწყებული იკარი, გაიხსენეს გზა, რომლითაც უნდოდა გამოერკვია ფრენის საკითხი ლეონარდო და-ვინჩის.

ფრინველთა მიზაძვამ შექმნა ჰაერფრენოსნობა (ავიატიკა), ე. ი. ფრენა ჰაერზე მძიმე აპარატებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქაც, როგორც ჰაერნაოსნობაში, ადამიანს უცებ არ მიუღწევია კარგი შედეგისათვის.

ბევრი მსხვერპლი შეეწირა ჰეროპლანებსაც, ბევრად მეტი, ვიდრე საჰაერო ხომალდს-დირიჟაბლს. როგორც დირიჟაბლი არ შეუქმნია ერთ ადამიანს, არამედ ადამიანების მთელი რიგს, მთელ შთამომავლობებს, ისე თანამედროვე ჰაეროპლანიც თანდათანობით შეიქმნა,—ერთიც და მეორეც შექმნა ადამიანის მისწრაფებამ ჰაერის დასამორჩილებლად.

ჯერ კიდევ ლეონარდო და-ვინჩიმ გააკეთა სათამაშო საფრენი იარაღი, ეგრეთ წოდებული ჰელიკოპტერი,—ფრთა მარცხნივ მოძრაობდა და ზევით აღიოდა. 1843 წელს ინგლისელმა ფილემსმა გააკეთა ჰელიკოპტერი, რომლის ხრახნები ორთქლის მანქანით ამოძრავა. ის იწონიდა სულ ორ გირვანქას და საკმაო სიმაღლეზე აღიოდა.

აკეთებდნენ ჰელიკოპტერებს საფრანგეთში, ინგლისში და ამერიკაში.

მე-XX საუკუნის დასასრულს ისინი მოდერნიზაცია და სათამაშოებიდან უკვე დიდ აპარატებად იქცნენ, რომლითაც ადამიანებიც აფრინდებოდნენ ხოლმე.

ჰელიკოპტერების გაკეთებით დამტკიცდა, რომ შეიძლება ჰაერში ფრენა ისეთი მანქანებით, რომლებიც ჰაერზე მძიმე არიან.

მაგრამ ჰელიკოპტერებით ფრენა და მათი ავიაციაში პრაქტიკულად გამოყენება ჯერაც ვერ მოუხერხებიათ.

ადამიანი ამავე დროს სხვა მიმართულებითაც მუშაობდა.

პარაშიუტები (ე. ი. დიდი ქოლგები, რომლებიც იშლება და რომლებითაც ადამიანს შეუძლია დიდი სიმაღლიდან უვნებლად ჩამოფრენა) ადამიანებმა უკვე იცოდნენ. ფრინველების მიბაძვამ და პარაშიუტებმა აფიქრებია ადამიანს პარაშიუტის მაგვრად ფრთები გაეკეთებია და შეცდილიყო მათი საშეაღებით ესრიალა ჰაერზე, როგორც ფრინველს.

პირველი ცდა ფრთებით ფრენისა გააკეთა ინგლისელმა კელიმ მე-XIX საუკუნეში, მაგრამ ფრენა ვერ ისწავლა.

პირველი პიონერი, რომელმაც ჩამოდენიდან გაიმარჯვა ჰაერზე ცურვაში და დიდი დახმარება

გაუწია ჰაეროპლანების გაჩენას, იყო გერმანელი ინჟინერი ოტტო ლილიენტალი.

ის დიდხანს აკვირდებოდა ფრინველების ფრენას, სანამ შეუდგებოდა საფრენი მანქანის აშენებას.

ლილიენტალს სურდა, რომ მის აპარატს შესძლებოდა ფრინველისავით ჰაერში ცურვა, ესე იგი, როცა ფრინველი კი არ ფრინავს ფრთების ქნევით, არამედ ფრთებგაშლილი თითქოს ჰკიდია ცაზე და მისცურავს ჰაერში.

ლილიენტალის აპარატი, ტირიფის წკნელები-საგან გაკეთებული და ტილოგადაკრული, ფრინველს ჰგავდა—მას ჰქონდა მოხრილი ფრთები და ფრინველისავით ბოლო, რომელზედაც გაკეთებული იყო საჭე.

ასეთი აპარატით ჰაერში საცურავად ლილიენტალი დაიდგა მას მხრებზე და გადახტებოდა მალლობიდან ქარის წინააღმდეგ.

აპარატი სრიალებდა ჰაერზე და შეიძლებოდა მიმართულების შეცვლა.

პირველ ხანებში ცდა უნაყოფო იყო.

ლილიენტალი ახერხებდა მხოლოდ რამოდენიმე საყენზე გაფრენას.

მაგრამ მრავალი ცდის შემდეგ შეეჩვია ჰაერზე უფრო დიდხანს გაჩერებას, ხტებოდა უფრო დიდი სიმაღლიდან და შესძლო ქალაქის მოედანზე გადაფრენაც.


მან გააკეთა ახალი აპარატი ორი წყვილი ფრთებით, რომლითაც შეეძლო 100—150 საყენზე გაჭფრენა და ხტებოდა 7 1/2 საყენიდან.

5—6 წლის განმავლობაში მან თითქმის ორიათასამდე მოაწყო ასეთი გადაფრენა.

1896 წლის 9 აგვისტოს ის ჩამოვარდა 9 მეტრის სიმაღლიდან და სასიკვდილოდ დაიმსხვრა.


აპარატებს, რომლითაც ფრინავდა ლილიენტალი, „პლანერებს“ უწოდებენ, რაც ნიშნავს ჰაერში „მოცურავს“.

ჰაეროპლანების გამოგონების მერმე პლანერები მიივიწყეს, მაგრამ მსოფლიო ომის მერმე გერმანიამ, ანტანტის მიერ ჰაეროპლანების აღმშენებლობაში მეტად შევიწროვებულმა, ისევ მიაქცია



ლილიენტალის ფრთები.

ყურადღება „პლანერებს“ და დიდ შედეგებსაც მიაღწია.




ძმ. რაიტების პირველი ჰაეროპლანი.

ამჟამად პლანერებს ისევ დიდ ყურადღებას აქცევენ.

ლილიენტალის ცდამ ბევრი დაინტერესა.

მას ჰყავდა მოწაფეებიც, რომლებმაც განაგრძეს პლანერების გაკეთება.



ახალი ტიპის პლანერი.

ერთი მათგანი, ინგლისელი პინჩერი, ფიქრობდა მამოძრავებლის დადგმასაც, მაგრამ ისიც ლილიენტალივით დაიშხვრა.



აეროპლანების ალღუმი ჰაერში.

იმავე ხანებში, როცა ლილიენტალი, პინჩერი და სხვები პლანერებს სწავლობდნენ და ამით შევლოდნენ უფრო სახეირო და მტიცი ფორმების

შექმნას ჰაეროპლანისთვის, საფრანგეთსა და ინგლისში ხდებოდა ცდები ნამდვილი ჰაეროპლანების შესაქმნელად, მაგრამ ეს ცდები უნაყოფოდ თავდებოდა (ჰაეროპლანები ვერ აფრინდებოდნენ ხოლმე, ან მფრინავი სასიკვდილოდ იმტვრეოდა).

ჰაეროპლანისთვის საჭირო პირობების შესაბამება მოახერხეს ამერიკელმა ძმებმა — ვილბურგმა და ორვილმა რაიტებმა.

მათ პირველად შესძლეს ისეთი ჰაეროპლანის გაკეთება, რომელიც ადვილად აფრინდებოდა ხოლმე ჰაერში და იქ დასრიალებდა.

ძმები რაიტები თვალყურს ადევნებდნენ ჰაერში ფრენას, იცოდნენ ლილიენტალის ცდები და სიკვდილიც.

მათ აიღეს საფუძვლად ლილიენტალის დაკვირვებანი და 1900 წლიდან დაიწყეს ჰაეროპლანის შექმნა.

ჯერ დაიწყეს პლანერის კეთება, მათზე ფრენის შესწავლა და გაუმჯობესება.

სამი წელიწადი მუშაობდნენ რაიტები პლანერებზე, სანამ გადასწყვეტდნენ ზედ ბენზინის მამოძრავებლის დადგმას.

ბოლოს, 1903 წელს, პირველად აფრინდნენ თავის ჰაეროპლანით და გაჩერდნენ ჰაერზე 1 წუთი.

ერთი წლის შემდეგ მათ გააკეთეს ახალი ჰაეროპლანი, რომელშიაც მრავალი გაუმჯობესება შეიტანეს.

ამ ჰაეროპლანზე მათ შესძლეს 4 ვერსის მანძილზე გაფრენა და ისევ იმ ადგილს მობრუნდნენ, საიდანაც აფრინდნენ.

მერტე უკვე ნახევარ საათს გაჩერდნენ ჰაერში და ორმოცი ვერსი გაიარეს.

ძმები რაიტების ჰაეროპლანი ორი სიბრტყისაგან (ფრთებისაგან) შესდგებოდა. სიბრტყეები გაკეთებული იყო ერთი-მეორეზე. წინ ჯოხებზე მოწყო-



ბილია კიდევ ორი პაწია სიბრტყე. ქვევითა დიდ სიბრტყეზე მოწყობილი ჰქონდათ მოტორი, რომელიც ამოძრავებდა ორ ხრახნს. უკან მოწყობილი



ჰქონდა ორი საჭე: ერთი მარცხნივ ან მარჯვნივ მოსაბრუნებლად და მეორე—ზევით ან ქვევით დასაწევად.

ძმები რაიტერი ფიქრობდნენ თავისი გამოგონების ძვირად გაყიდვას და ამიტომ არავის უჩვენებდნენ, მაგრამ ჰაერობლანების გამოგონების დრო უკვე მოსული იყო.

ყველა მთავარი ნაწილები უკვე გამოგონილი იყო და ყველამ იცოდა. ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ იმავე დროს, როცა ამერიკაში მუ-


1909 წელს 25 ივლისს კი გადაფრინდა სრულ ტელამანზე.

არ გასულა ას ორმოცდათი წელი, რაც პილატრ-დენ-როზიე აფრინდა ბურთით. ეს იყო ადამიანის პირველი აფრენა.

სულ ოცი წელი გავიდა, რაც ძმებმა რაიტებმა პირველი ჰაერობლანით იფრინეს.

ჰაერის სტიქიონი კი უკვე სავესა ათიათასი მანქანებით...

ადამიანი რამდენიმე ფერის სიმაღლეს აღწევს,



შაობდნენ ძმები რაიტები, საფრანგეთში მათგან დამოუკიდებლად ამავე აღმოჩენაზე მუშაობდა ბლერიო.

ჰაერობლანისათვის უმჯობესი ფორმის გამოსაძებნად ბლერიო მათ ერთი-მეორეზე აკეთებდა, მაგრამ არა ორი ერთით (სიბრტყით), როგორც

ალარ აშინებს მათ ქარი და თავისუფლად ნაფარდობდნენ და ბრძანებლობდნენ ჰაერის ოკეანეზე.

დიდხანს ოცნებობდა ადამიანი ასეთ დროზე, დაჟინებით მიისწრაფოდა ჯიუტი და თვითნება სტიქიონის დასამორჩილებლად, ბევრი პიონერი გახდა ამ მისწრა-

ავსტრალიური 30-ადგილიანი თვითმფრინავი, რომელიც სიდნეისა და მელბურნს შორის დაფრინავს.

რაიტები, არამედ ერთფრთიანებს (ერთის სიბრტყით).

1906 წელს ბლერიო გაფრინდა 100 საჟენზე.

ფრენის მსხვერპლი, მაგრამ ადამიანის ნებამ გაიმარჯვა და მან მიაღწია იმას, რაც სურდა.

ზეცა დაპარცხდა.

ზ. გძელიშვილი.





ზეიმი მაღაროში

ტიალ მინდვრად დავიბადე,
გავიზარდე მაღაროში,
წერაქე-ჩაქუხს შევეზარდე
იმ ბნელეთის სამყაროში.

ჩემი ძალა, ჩემი ღონე
არ არს სულ მთლად დახარჯული,
გული ისევ მედგარია,
მწარე ბრძოლით გაკაფული!

სიხარულით ორკეცდება,
როს ოცნებას მივეცემი,
სანეტაროდ გადიშალა
ეს სამყარო, ვით ედემი!

ვინ გაბედავს, გზა შემიკრას,
ყვავიც ველარ გადმომჩხავლებს.
უკვე მიგქრი ძველის ნგრევით,
ვამთავორებ ცეცხლის ალებს.

ის დრო მოკვდა, როს ვიყავით
ჯოჯოხეთში ჩავარდნილი!
მოკვდა და, თუ გაიღვიძებს,
გადალევკავს წყალგარდნილი.

ცეცხლოვანი სიკაბუკე
მაღაროში გავატარე,
და წითელი ძლევის დროშა
ქუჩა-ქუჩა დავატარე!

მონობისა ბორკილები
დამპალხორცზე ავიყარე,
სიხარულით ტკივილს არ ვკრძნობ,
ზედ წამალი დავიყარე.

ებლა ვსუნთქავთ თავისუფლად,
თან ვლილინებთ მაღაროში,
ზეიმს ვიხდით ჩვენ საერთოდ
კობტად მორთულ სამყაროში!

ალექსანდრე შანიძე.

რა უნდა იცოდეს პიონერმა

ბარძვევა მიდამოში

გეგმა და რუქა. გეგმა და რუქა განსაზღვრულ მასშტაბით იხაზება. მასშტაბი ეწოდება გეგმაზე აღნიშნულ ხაზის სიგრძის და მიდამოზე მყოფ თანაბარი ხაზის სიგრძის შეფარდებას.

გეგმაზე აღსანიშნავად ხაზის სიგრძე რამოდენჯერმე განსაზღვრულად მცირდება: მაგ., გეგმის 1 დუიმი მიდამოს 10 საყენს ეთანაბრება (მასშტაბი: 10 საყენი დუიმიში). მაგალითად, თუ ამ გეგმით საჭიროა ორ პუნქტს შორის მანძილის ამოცნობა, ეს მანძილი უნდა გეგმაზე გავზომოთ დუიმებში; ვსთქვათ, იგი 5 დუიმს უდრის; რადგანაც, 10 საყენი უდრის 1 დუიმს, ამიტომ 5 გავამრავლოთ ათზე, მივიღებთ 50 საყენს.

გეგმაზე გზები, მდინარეები, დელეები და სხვა, — ხაზებითაა აღნიშნული. ამ ხაზების მიმართულება უნდა ისეთივე იყოს, როგორც ნამდვილად მიდამოშია. ამასთან უნდა გვახსოვდეს: ყველა პირობითი ნიშნები ჩრდილოეთისკენაა და-

ხაზული, წარწერები დასავლეთიდან აღმოსავლეთით აღინიშნება.

კომპასის ანდამატის ისრის მიმართულება უნდა იყოს „NS“ (ჩრდ.-სამხრ.), ესე იგი, ისრის შავი ნაწილი მიმართული უნდა იყოს ჩრდილოეთით და ასო N-სკენ.

მოძრაობა — სიარული.

1. კომპასი: პირი ჰქენით, საითაც წასვლა გინდათ. შემდეგ კომპასი ხელის გულზე დაიდეთ და ისე შემოაჭრიალეთ, რომ ისრის შავი ნაწილი ასო „N“-ზე დადგეს. ახლა ისარი ჩრდილოეთს უყურებს, თქვენ კი იმ მხარეს. სადაც გწადიათ მისვლა. ჩანიშნეთ კომპასზე თქვენი მიმართულების ხაზი და ამ ხაზის გასწვრივ პირდაპირ მიდამოზე რაიმე უძრავი საგანი: ხე, ბუჩქი, კლდე და სხვა, და წადით იმ საგნისკენ. როდესაც მიხვალთ აღნიშნულ პუნქტში, გაიმეორეთ ისევ ის.

2. ვარსკვლავებით. ცაზე, დიდი დათვის ორ

მარჯვენა ვარსკვლავზე რომ ხაზი გავატაროთ ნ-ჯერ მეტი, ვიდრე ამ ორ ვარსკვლავს შორის მანძილი, — ეს ხაზი მბრწყინავ პოლიარულ ვარსკვლავზე გაივლის, რომელიც მცირე დათვის ბოლოშია; ეს ვარსკვლავი გვიჩვენებს ჩრდილოეთს.

ირმის ნახტომით, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთით მიემართება; სამხრეთს ნაწილში იგი იშლება და ამიტომ უფრო განიერია, ვიდრე ჩრდილოეთში.

ადგილობრივ საგნებით—საყდრების საკურთხეველი აღმოსავლეთისკენა მიმართული, სასაფლაო—დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, და ჯვარიც აღმოსავლეთის მხარეს არქვია.

ხავსი ხეზე უმეტესად ჩრდილო მხარეს ამოდის ქვაზედაც და კლდეზედაც;

ნორჩი ხე რომ გადავქრათ, წლის რგოლები სამხრეთისაკენ ცოტა აქვს; ხეებზე ტოტები და ფოთლები სამხრეთისკენ უფრო ხშირია, ვიდრე ჩრდილოეთისაკენ.

ჯიბის საათით მზიან დღეში. საათის ციფერბლატი რომ 24 საათად იყოს დანაწილებული, მაშინ მზე მთელ დღის განმავლობაში ღწურად მიჰყევებოდა საათის ისარს, თუ თითნა 24-ს საათზე ღწურად სამხრეთისაკენ დავაყენებდით. ამიტომ საჭირო დროს რომ საათის ისარს მზეს მივუშვერდით, 24-ის პირდაპირ (სადაც ჩვენ 12 ს. გვაქვს) სამხრეთი იქნებოდა.

მაგრამ ჩვენი საათის ციფერბლატი 12 ნაწილად იყოფა და ისარი დღეღამეში ორჯერ უვლის მას იმ დროს, როცა მზე ერთს წრეს მოივლის, ე. ი. ისართან შედარებით ორჯერ ნელა დადის.

ამიტომ, რომ გავიგოთ სამხრეთი, ისარს კი არ მივუშვერთ მზეს, არამედ იმ ხაზს, რომელიც ისარს და თითნა 12-ს შორის მდებარე კუთხეს ორ თანასწორ ნაწილად ჰყოფს.

მაშინ თითნა 12-ის მიმართულებით სამხრეთი იქნება, თითნა 6-ის მიმართულებით—ჩრდილოეთი, 3-ის—დასავლეთი და 9-ის—აღმოსავლეთი.

ან შეიძლება საათის ისარი მზეს მივუშვიროთ და მაშინ ისარს და თითნა 12 ს შორის მდებარე კუთხის გამყოფი ხაზის მიმართულება გვიჩვენებს სამხრეთს.

როდესაც ბანაკიდან წამოხვალ, ჩაინიშნე კომპასით, თუ რა მიმართულებით წახვედი, აგრეთვე, რა მიმართულებით ჰქრის ქარი. გზაში მიაქციე ყურადღება მნიშვნელოვან საგნებს, დიდ ხეებს, შენობებს, ხიდებს და სხვა, რაც უკან დაბრუნებისათვის გამოგადგება.

მანძილის ამოცნობა:

თვითეულმა პიონერმა უნდა იცოდეს თვალით ამოცნობა მანძილისა, დაახლოვებით მაინც, საგნებს შორის.

უცხად ეს შეუძლებელია. საჭიროადიდი ხნის ვარჯიშობა ამისათვის.

პიონერმა უნდა ისწავლოს მანძილის ერთბაშად გამოცნობა, მაგ., მანძილი ტყემლის, რომელიც 2 ვერსზე მოჩანს; მდინარის სიგანე, ხევის სიღრმე, სახლის ან ხის სიმაღლე. ჯერ თვალით გაზომე, შემდეგ ნამდვილად გაზომე: შეამოწმე, რამდენად სწორე თვალი გაქვს.

მანძილის ამოცნობისას საჭიროა შემდეგის მხედველობაში მიღება:

- 1) 50 ნაბიჯზე ადამიანის თვალებსაც ვხედავთ.
- 2) 100 ნაბიჯზე—ადამიანის თვალეები წერტილებს მიაგავს.
- 3) 200 ნაბიჯზე ლილები ჩანს და ტანსაცმელი დაწვრილებით.
- 4) 300 ნაბიჯზე ადამიანის სახე ჩანს, ნაწილები სახისა კი არა.
- 5) 500 ნაბიჯზე ირჩევა ტანსაცმელის ფერადი ნაწილები.
- 6) 700 ნაბიჯზე ფეხების მოძრაობა ჩანს.
- 7) 2 ვერსზე ცალკე ხეები ჩანს.
- 8) 3 ვერსზე—საკვამლე მილები (ბუხრები) ჩანს.
- 9) 6 ვერსზე—ცალკე შენობები ჩანს.
- 10) 10 ვერსზე—ქარის წისკვილი ჩანს.
- 11) 15-დან 20 ვერსამდის—დიდი საყდრების გუმბათები და მალალი შენობები.


რგოლის ხელსაწყო:




- 1—ცული.
- 1 კომპასი.
- 2—ნჩაბი.
- 30 მეტრი თოკი (1/2 დუიმის სისქისა).
- 3—4 ქვაბი.
- 1 სანიშნო სასტენი.
- 1 კოლოფი წუმწუმა, ანუ ასანთი.
- 1 კარავი (6 ნაჭერი ტილო ან მთელი).

რაზმის ხელსაწყო:

თვითმუშა პირნარის ხელსაწყო



- 2 ქვაბი.
- 2 ტაფა.
- 1 დიდი კოვზი.
- 1 დიდი დანა.
- 1 საყვირი.
- 1 ცული.
- 1 მთელი აფთიაქი პირველ შე-
მწეობის მისაცემად.
- 1 ამა თუ იმ ადგილის რუქა
(პ—10 ვერსიანი).



საბარგო ტომარა, ერთი წყვილი საცვალი, პირსახოცი, ლოგინი (ტომარა ლეიბისათვის, ტომარა ბალიშისათვის, ჩარსავი, საბანი); ჭიქა (რკინისა), კოვზი, დანა, საპონი, კბილის ჩოთქი, ფხენილი. ნემსი, ძაფი, ლილეები. უბნის წიგნაკი ფანქარით. მათარა.

დ. კარბელი

თ ბ ო მ ა ტ ა რ ი

ჩვენს რკინის გზებზე მძიმე შრომას ეწევიან მოხუცი ორთქლმავლები. მათ ფოლადის ორი ახალი ცხენი მიემატა.

ამ ცხენებს თბომატარი ჰქვიათ. ერთი მათგანი ჩვენმა რევოლუციამ შექმნა; ის წითელი ლენინგრადის შვილია: მისი სამიმოსვლო ნაწილები პუტილოვის ქარხანაშია დამზადებული, მოტორები — „ელექტრიკში“, ყველა ნაწილები აწყობილია და მთელი თბომატარი სამუშაოდ გამზადებულია ბალტიის ქარხანაში. ის პროფესორი ჰაკელის მეთვალყურეობით და მისივე პროექტით არის გამზადებული.

მეორე მათგანი საზღვარგარეულია; ის გერმანიაშია დამზადებული რუსი პროფესორის ლომონოსოვის მეთვალყურეობით.

განა მართლა მოქამადრო ორთქლმავალმა?

ორთქლმავალთან შედარებით რა უპირატესობა აქვს თბომატარს?

შევეცადოთ ამის გამოკვევას.

ორთქლმავალს ძალიან ბევრი წყალი და სათბობი მასალა სჭირდება. თუმცა ის ბევრ სათბობ მასალას ხარჯავს, ამ სათბობი მასალის ნაწილი სრულიად ტყუილ-უბრალოდ იხარჯება.

სამუშაოდ ორთქლმავალს თითო ვერსის გასვლელად 1 ფუთი ნახშირი სჭირდება. მაშასადამე, ლენინგრადიდან მოსკოვში ჩასვლისთვის ორთქლმავალს 600 ფუთი ნახშირი სჭირდება. ამ 600 ფუთი ნახშირიდან ორთქლმავალს მოძრაობისთვის ფრიად ცოტა სჭირდება: საუკეთესო ორთქლმავლები თვისი მოძრაობისთვის ხმარობენ მხოლოდ 7% იმ ნახშირისა, რომელსაც ისინი სწვავენ, 93% კი უნაყოფოდ იწვის.

როგორ ხდება ეს?



ნახშირი ორთქლმავლის ღუმელში იწვის; მისი სითბო ირგვლივ იფანტება. ბევრი სითბო იკარგება კვამლთან ერთად; მთელი ეს სითბო სულ ტყუილ-უბრალოდ, უნაყოფოდ იკარგება. ამას გარდა, ის ორთქლი, რომელმაც ცილინდრში გაიარა და იქ ღეჟში ააქუშავა, მერმე ჯერ კიდევ ცხელი ადის საკვამლურში და

თან მიაქვს სითბოს კარგა დიდი ნაწილი, რომელიც აგრეთვე უნაყოფოდ იკარგება.

ამრიგად, ლენინგრადიდან მოსკოვს ჩამოსასვლელად 600 ფუთი ნახშირია საჭირო, მაგრამ მხოლოდ 40 ფუთი იხარჯება ნაყოფიერად, ეს სი-



თბო აბრუნებს ორთქლმავლის ბორბლებს, — დანა-
რჩენი 560 ფუთი კი სრულიად უნაყოფოდ იხარ-
ჯება.

გამომგონებელნი თავს იმტვრევდენ, რომ ორ-
თქლმავლის მანქანას მეტი სარგებელი მიეცა, მა-
გრამ ყველა ცდა ამაო იყო.


მაგრამ ახლა კი ორთქლმავლის ადგილს თბო-
მატარი იკერს.

თბომატარში მამოძრავებელ ძალას ორთქლი
კი არ წარმოადგენს, არამედ აირის (გაზი) აფეთქება.

ცველამ იცის, რომ აფეთქებას დიდი ძალა
აქვს და დიდი სამუშაოს შესრულებაც შეუძლია.
როდესაც თოფის წამალი აფეთქდება ზარბაზანში,
ეს აფეთქება ყუზბარას რამდენიმე ათეულ ვერსზე
ისვრის.

სწორედ ამგვარ აფეთქებებს იყენებენ თბო-
მატარში.

თუ ბენზინის, გაწმენდილი ნავთის ან უბრა-
ლო ნავთის ორთქლს ან წვეთებს ცეცხლს წავუ-
კიდებთ, შედეგად აფეთქებას მივიღებთ. ამ თვისება-



ზეა დამყარებული თბომატარის მანქანა, ეგრედწო-
ლებული თბოძრავი, ხოლო აქედანაა თვით სახე-
ლიც — თბომატარი.

მაგარ ცილინდრში (იხ. სურ. დგუშის პირვე-
ლი მდგომარეობა ზევადან) განსაკუთრებული სა-
ქანელით სარქველი E — თი იდენება ჰაერისა და ნავ-
თის ან ბენზინის ორთქლის შენაერთი; შემდეგ
დგუშის შემწეობით (მე-2-ე მდგომარეობა) ძალიან
იკუმშება და იმ მომენტში, როდესაც ფრიალ დი-
ლია ამ შენაერთის შეკუმშვა, მას ელექტრონის
ნაპერწყლით ცეცხლს უკიდებენ, რასაც ძლიერი
აფეთქება მოჰყვება (მე-3-ე მდგომარეობა), მაგრამ
ეს აფეთქება ვერ გახეთქს ცილინდრს, ვინაიდან ის
ძალიან მაგარია, დგუშში კი ფრიალ დიდი ძალით
გაიწვეს წინ. დგუშში რომ ბოლომდე მივა, მერმე
უკან იწვეს და შეკუმშავს იმ ორთქლს, რომელიც
გაჩნდა ცილინდრში აფეთქების დროს (მე-4-ე მდგო-
მარეობა). ამ ორთქლს დგუშში მეორე სარქველით
გარეთ ერეკება. ამის შემდეგ დგუშში ისევ წინ მიდის.

ცილინდრში კვლავ შედის ამაფეთქებელი ნივთიერ-
თი, ის ისევ შეიკუმშება, როდესაც დგუშში უკან
იწვეს და კვლავ აფეთქდება. დგუშში კვლავ წინ
გაიწვეს და ამრიგად მუშაობს ძრავი.

ეს ძრავი ორთქლის მანქანაზე გაცილებით
უფრო მარტივია; მას არ აქვს ქვაბი, რომელიც
ორთქლი უნდა დაამზადოს; წყალი ამ ძრავს თით-
ქმის არ სჭირდება — სითბოსაც ის ძალიან ცოტას
ჰკარგავს. ამიტომ ის მუშაობის დროს გაცილებით
უფრო ცოტა სითბოს ხარჯავს, ვიდრე ორთქლის
მანქანა. ამ ბოლო დრომდე ამგვარ მანქანებს ხმა-
რობდენ მხოლოდ ფაბრიკებში, ქარხნებში, გემებზე
(თბოგემი), ჰაერობლანებზე, ავტომობილებში, მა-
გრამ რელსების საშვალეებით მოძრაობისთვის კი
მათ არ ხმარობდენ.

გარეგნულად ი. მ. ჰაკელის თბომატარი რონოს
(ვაგონს) ჰგავს. მას არავითარი საერთო არ აქვს
ორთქლმავლთან; ამგვარ ვაგონში არის დადგმული
1000 ცხენის ძალის თბოძრავი. ეს ძრავი თვის
მუშაობას დინამო-მანქანას გადასცემს, რომელიც
ელექტრონის ჩქერს ამზადებს. ეს ელექტრონის ძა-
ლა აბრუნებს ელექტრო-მოტორებს, რომლებიც
თბომატარის ღერძებზეა დადგმული, როგორც ეს
ტრამვაიშია მოწყობილი.

თბომატარს, როგორც ტრამვაის, ყოველი მხრით
შეუძლია მოძრაობა. საჭირო არ არის, რომ ის
სპეციალურ წრივზე შემოაპრიალონ, როგორც
ორთქლმავალს სჭირდება ეს.

თბომატარში არ არის წაბში ნახშირისა და
წყლისათვის. რკინის გზის სადგურებზე საჭირო
არ არის მისთვის წყალსაქაჩები. მას მხოლოდ ძა-
ლიან ცოტა ნავთი და წყალი სჭირდება. ამიტომ
თბომატარი განსაკუთრებით მოხერხებულია ისე-
თი ადგილებისათვის, სადაც წყალი თითქმის არ
არის, ასეთი ადგილი კი ს. ს. რ. კ-ში ბევრია: თურქე-
სტანის უწყლო ველები, მურმანის, არხანგელსკის
გუბერნიის ზოგი სხვა ადგილების მუდამ გაყინუ-
ლი მრწაწყალი და სხვა. ასეთ ადგილებში ძალიან
ძნელია წყლის შოვნა, და ამიტომ იქ ფრიალ უხერ-
ხულია ორთქლმავალი. თბომატარი ორთქლმავალ-
თან შედარებით დიდ ეკონომიას იძლევა: გამოსაცდე-
ლად სებევიდან წამოვიდა მოსკოვში პროფ. ლომო-
ნოსოვის თბომატარი და სულ 50 ფუთი ნავთი
დახარჯა, ორთქლმავალი კი ამ გზის გასაფლელად
200 ფუთს ხარჯავს. მაშასადამე, თ ბ თ ბ ა -
რი ო თ ხ ჯ ე რ უ ფ რ ო ნ ა კ ლ ე ბ ს ა თ ბ ო ბ
მ ა ს ა ლ ა ს ს წ ვ ა ს , ვ ი დ რ ე ო რ თ ქ ლ მ ა ვ ა -
ლი . პროფ. ჰაკელის თბომატარს შეუძლია
1400 ვერსი გაიაროს წყლისა და სათბობი მასა-
ლის იმ მარაგით, რომელიც მას აქვს.

თბომატარის ნაკლი ის არის, რომ ის ორთქლმა-
ვალზე გაცილებით უფრო ძვირია, მაგრამ, ცხა-
დია, ის თანდათან გაუმჯობესდება და უფრო იაფი
დაჯდება.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარ-მართვე-
ლობის სალიტერატურო-სამხატვრო ხეყციის ხელმძღვანელობით გამოცემული
წიგნების სია:

1.	„ნაკადული“ № 1 1924 წ.	თითო წიგ.	25 კ.
2.	„ „ „ № 2—3 1924 წ.	„ „	30 „
3.	„ „ „ № 4—5 1924 „	„ „	40 „
4.	„ „ „ № 6—7 1924 „	„ „	25 „
5.	წითელი სხივი №: 1, 2—3, 4—5	„ „	40 „
6.	„ნაკადული“ 2921 წ. და 1922 წ. №: №	„ „	25 „
7.	„ჯეჯილი“ 1921 წ. 1922 წ. 1923 წ. №: №	„ „	40 „
8.	ნორჩი ძალა—კრებული	„ „	15 „
9.	„სამი ამბავი“—შიო მღვიმელისა	„ „	10 „
10.	„კოკროჭინა“—დ. დონდუასი	„ „	10 „
11.	ბელა პეკეკა	„ „	10 „
12.	„შემოდგომა“—ფერად-სურათებიანი წიგნი	„ „	70 „
13.	„დედებერი, ტურა და მელია კული-გძელია“	„ „	50 „
14.	„ბავშვებს“—ლექსები გ. ქუჩიშვილისა	„ „	20 „
15.	„ტყის ზღაპარი“—მამინ-სიბირიაკისა, თარგ.	„ „	20 „
16.	„ტყის სურათები“—შიო მღვიმელისა	„ „	25 „
17.	„ქიანქველას საოცარი თავგადასავალი“	„ „	30 „
18.	„თავისუფალ ბავშთა სიმღერები“	„ „	2 „
19.	„ქართული მოძრაეი თამაშობანი“	„ „	80 „
20.	„ტროადის ომი“—ალ. მიქაბერიძისა	„ „	80 „
21.	„ივანე-არაქნი“—ალ. მირიანაშვილისა	„ „	30 „
22.	„საბავშო პიესათა კრებული“	„ „	70 „
23.	„ივანე სულელი“—ზღაპარი, ლ. ტოლსტოისა	„ „	15 „
24.	„ლურჯი ფრინველი“	„ „	50 „
25.	მოძრაეი თამაშობანი სიმღერებით—გოგლიჩიძისა	„ „	1 მ.
26.	ოვიდიუსის მეტამორფოზები, —მიქაბერიძის	„ „	70 კ.
27.	„ზამთარი“—ფერადი სურათებით	„ „	50 „
28.	„უძველესი დროის ბავშვის თავგადასავალი“	„ „	45 „
29.	როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან“	„ „	25 „
30.	„გაზაფხული და ზაფხული“	„ „	90 „
31.	„რას გვიკვამობს ოთახი“	„ „	20 „
32.	„ზღვის სიმდიდრე“	„ „	20 „
33.	პატარა იპონელები—ფერადი ყლით	„ „	75 „
34.	კოკონთან, —ჩვენი ძმები ყველგან არიან	„ „	10 „
35.	„ როგორ გავატარეთ ზაფხული ბანაკში“	„ „	15 „
36.	კომბლე ზღაპარი ფერადი სურათებით	„ „	65 „
37.	სიზმრად და ცხადად	„ „	30 „
38.	პატარა იპონელები, ფერადი ყლით	„ „	75 „
39.	კოკონთან საუბარი მე-4	„ „	10 „

ბიბლიოთეკის მისამართი: ...
 დასახლება: ...
 მისამართი: ...

— 1925 წ. —



გ ა მ რ ღ ი ს უთვალთვიური საფეხვილო დასურათი შურნალები

მომზადებულია

წითელი სხივი

წელიწადი 1

მცირე წლ.

ნაკადული

წელ. მე-XXI

შურნალის გამომცემი ს. ს. ს. რუსუბლიჩის ყვლა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს გავრცელებული კომუნისტური
ჯგუფების ურველი წევრის, ორგანიზაციის ურველი
კოლექტივის, გავრცელებული კომუნისტური მოძრაობის
თვითთავი ხელმძღვანელის, გიგლიო-
თაპაგის და საგანგებო
გის ვალდებულებათა
გამოიწერონ

„წითელი სხივი“

„ნაკადული“

ხელის მოწერა მიიღება თვითურად

ცალკე

„წითელი სხივი“

40 კ.

„

„ნაკადული“

25 კ.



გადაგზავნა ხალის მომხარისხებით



მისამართი: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 5, განათლების სახალხო
კომისარიატი „წითელი სხივის“ და „ნაკადულის“ რედაქციბ.